

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

ხელნაწერის უფლებით

ნინო დავითის ასული რაზმაძე

ქართული ხალხური საკრავები

**(ისტორიული, ტერმინოლოგიური, სოციოკულტურული,
ორგანოლოგიური და მუსიკოლოგიური ასპექტები)**

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

MUS 0215.1.17: ეთნომუსიკოლოგია

თბილისი, 2023

სამეცნიერო ხელმძღვანელები:
რუსუდან წურჭუმია,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ემერიტუს პროფესორი
დავით შულღიაშვილი,
მუსიკოლოგიის დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი

ექსპერტები:

მაკა ხარძიანი, მუსიკოლოგიის დოქტორი, გალობის უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

თამაზ გაბისონია, მუსიკოლოგიის დოქტორი, ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება

2024 წლის 15 მარტს, პარასკევს, 15:00 საათზე

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის
სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე No.2

მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. N8/10, IV სართული, აუდ. 421

დისერტაციის და ავტორეფერატის გაცნობა შესაძლებელია თბილისის ვანო
სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში და
კონსერვატორიის ვებ-გვერდზე: www.tsc.edu.ge

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი

ეკა ჭაბაშვილი
სამუსიკო ხელოვნების დოქტორი
ასოც. პროფესორი

შესავალი

სადისერტაციო ნაშრომის **კვლევის საგანია** ქართული ტრადიციული მუსიკალური საკრავები და საკრავიერი მუსიკა. მათი შესწავლა მოიცავს ფართო სპექტრს და ძალზე რთულ, კომპლექსურ დისციპლინად წარმოგვიდგება. საკრავი მსოფლიო მუსიკალური კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელსაც სამეცნიერო დარგი – ორგანოლოგია და, ნაწილობრივ, ეთნომუსიკოლოგია შეისწავლის.

ნაშრომის **კვლევის ობიექტია** ქართული ინსტრუმენტარიუმი. მასში განხილულია მუსიკალური საკრავების აღმნიშვნელი 80-მდე ტერმინი ძველი ქართული წერილობითი წყაროებიდან და, დღეისათვის, ქართულ ტრადიციულ საკრავებად ცნობილი საკრავები: *ლარჭემი, სოინარი, ენიანი და უენო სალამური, გუდასტვირი, გარმონი, ჭიბონი, პილილი, ჩანგი, ჩონგური, ფანდური, ჭუნირი, ჭიანური, დაირა, დოლი, დიპლიპიტო*.

კვლევის მიზანია ქართული ინსტრუმენტარიუმის შესახებ მონოგრაფიული ნაშრომის შექმნა, რომელშიც გათვალისწინებულია ისტორიული და თანამედროვე კონტექსტი, საკრავების აღმნიშვნელი სახელწოდებები, მათი დიალექტური ბუნება, სოციოკულტურული, ორგანოლოგიური და მუსიკალური მონაცემები. აგრეთვე, ერთ-ერთი მთავარი მიზანია ქართული ინსტრუმენტარიუმის კვლევის პროცესში მსოფლიო ინსტრუმენტარიუმის კონტექსტის გათვალისწინება.

კვლევის ამოცანებია ქართული ინსტრუმენტარიუმის შესახებ არსებული ცოდნის შეკრება-სისტემატიზება, არსებულ კვლევებთან ერთად, მათი გაანალიზება და განზოგადება; არქეოლოგიის, ზეპირსიტყვიერების, სამუზეუმო, ეთნოგრაფიული, ძველი ხელნაწერი მასალების შესწავლა და კრიტიკული ანალიზი, რაც კვლევის კიდევ უფრო საინტერესო პერსპექტივებს სახავს.

ქართული ინსტრუმენტარიუმის **კვლევის მნიშვნელობასა და აქტუალობას**, მაღალგანვითარებულ ვოკალურ მუსიკასთან ერთად, ქართული ხალხური სამუსიკო კულტურის შესწავლის საქმეში საკრავიერი მუსიკის როლი განსაზღვრავს. ეს, თავის მხრივ, წინაპირობას ქმნის ქართული ინსტრუმენტარიუმი სათანადოდ იქნას წარმოდგენილი და გათვალისწინებული მსოფლიო ორგანოლოგიის სამეცნიერო არეალში.

ნაშრომის **მეცნიერული სიახლეა** ქართული საკრავებისა და საკრავიერი მუსიკის

კომპლექსური, ინტერდისციპლინური კვლევა, რომელიც ეფუძნება სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილ უახლეს მასალას (მათ შორის – ავტორის მიერ ექსპედიციებში მოპოვებულს), მრავალფეროვან წყაროთმცოდნეობით ბაზასა და არსებული სამეცნიერო კვლევების კრიტიკულ ანალიზს.

ნაშრომის სიახლეებია:

- უახლესი ინგლისურენოვანი ლიტერატურის შემოტანა ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში;
- ქართული საკრავების დაჯგუფება საკრავთა კლასიფიკაციის საერთაშორისოდ მიღებული ჰორნბოსტელ-ზაქსის სისტემის მიხედვით;
- საკრავების აღმნიშვნელი ძველი ქართული ტერმინოლოგიის კვლევის განსხვავებული, თანამედროვე მიდგომების გამოყენება, რაც გულისხმობს მათი მნიშვნელობის დაზუსტებას სხვადასხვა პერიოდის, კონტექსტის, განსხვავებული კრიტერიუმის მიხედვით, ასევე, თანამედროვეობაში არსებული საკრავების კონტექსტის გათვალისწინებას და მათ შედარებით კვლევას;
- საკრავთა სოციალური ფუნქციის შესწავლა გამოყენების არეალების მიხედვით;
- საკრავთა ტრადიციული საშემსრულებლო ხერხების შესწავლა და მათი ნოტირების შესაბამისი პირობითი ნიშნების შემუშავება;
- ცალკეული საკრავის სიმთა რაოდენობისა და წყობის საკითხების შესწავლა/დაზუსტება;
- სხვადასხვა ჯგუფის საკრავებზე შესრულებული ნიმუშების მუსიკალური ანალიზი და მათი ზოგადი მუსიკოლოგიური თავისებურებების შეჯამება.

ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზაა არქეოლოგიური, ისტორიული, სალიტერატურო, ზეპირსიტყვიერი ტექსტობრივი მასალა. ცალკეულ თავში, საჭიროებისამებრ, დანართების სახითაა წარმოდგენილი პირველწყაროებიდან ამოკრებილი მრავალრიცხოვანი სრული ტექსტები. საკრავების ორგანოლოგიური და მუსიკოლოგიური თავისებურებების შესწავლისათვის გამოყენებულია ვიდეო, ფოტო, აუდიო და ტექსტობრივი მასალა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მოპოვებულია ავტორის მიერ სხვადასხვა წელს ჩატარებულ ექსპედიციებში. გამოყენებული უნიკალური საარქივო აუდიომასალის დიდი ნაწილი დაცულია თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის გრიგოლ ჩხიკვაძის სახელობის ეთნომუსიკოლოგიის

ლაბორატორიის არქივში (გჩსელა).

ნაშრომის **პრაქტიკულ** დანიშნულებას განსაზღვრავს დისერტაციაში მოცულ საკითხთა ფართო თემატიკა. გარდა საკუთრივ საკრავიერი მუსიკის დაინტერესებული მკვლევრებისა, მასში დასმული საკითხები და მოცემული დებულებები, დახმარებას გაუწევს მომიჯნავე დარგების სპეციალისტებს (ისტორიკოსებს, ეთნოლოგებს, ენათმეცნიერებს, ანთროპოლოგებს, სოციოლოგებს და სხვ.). ნაშრომის დანართებში მოცემული დიდძალი მასალა გამოადგება ლექსიკონებსა და ენციკლოპედიებზე მომუშავე ქართველ და უცხოელ სპეციალისტებს.

კვლევის შედეგების გათვალისწინება შესაძლებელია სასწავლო პროცესში – ხალხურ საკრავიერ მუსიკასთან დაკავშირებულ სალექციო კურსებში. ამ მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ორგანოლოგიური მიდგომების, საერთაშორისო კლასიფიკაციის, სოციოკულტურული ასპექტებისა და ზოგადად, ქართული ინსტრუმენტარიუმის მსოფლიო ინსტრუმენტარიუმის კონტექსტში კვლევის რაკურსს.

აღსანიშნავია, რომ დისერტაციის ფარგლებში ავტორის მიერ დამუშავებული საერთაშორისო კლასიფიკაციის სისტემას უკვე ჰქონდა პრაქტიკული გამოყენება. იგი საფუძვლად დაედო ქართული ხალხური სიმღერის და საკრავების სახელმწიფო მუზეუმის საკრავების კატალოგს (2019).

კვლევის ინტერნაციონალიზაციის მცდელობა, რაც დისერტაციის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, ზრდის ქართული ორგანოლოგიაში მუსიკალური საკრავების კვლევის საერთაშორისო ცოდნის ინტეგრირების შესაძლებლობას და ქართული საკრავების მსოფლიო მასშტაბით პოპულარიზების შესაძლებლობას.

ნაშრომის **სტრუქტურა** კვლევის ძირითადმა ასპექტებმა განსაზღვრა. იგი შედგება შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, კვლევის მეთოდოლოგიისა და საკრავთა კლასიფიკაციის პრინციპების, ოთხი ძირითადი ნაწილისა და შედეგებისა და დასკვნებისაგან. თითოეულ თავს დანართის სახით ახლავს კვლევის პროცესში დამუშავებული მასალა და მუსიკალური მაგალითები.

ლიტერატურის მიმოხილვა

დისერტაციის სპეციფიკის, მისი ცალკეული თავების მრავალფეროვანი შინაარსისა

და სტრუქტურიდან გამომდინარე, ცალკეულ საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურის მიმოხილვა მოცემულია თითოეული თავის დასაწყისში. შესაბამისად, **ლიტერატურის მიმოხილვის** ნაწილში განხილულია ის ძირითადი სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც ქართული მუსიკალური საკრავების შესწავლის სამეცნიერო ისტორიას ქმნის. ზოგადად, წარმოდგენილ ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურა მოიცავს ფაქტობრივად, ყველა ძირითად და მრავალ ნაკლებად ცნობილ ქართულ სამეცნიერო ნაშრომს, რაც ქართულ მუსიკალურ საკრავებსა და საკრავიერ მუსიკას ეხება.

ვინაიდან ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში *ორგანოლოგიაზე*, როგორც სამეცნიერო დისციპლინაზე ცნობები, ფაქტობრივად, არ არსებობს. ლიტერატურის მიმოხილვას წინ უძღვის მისი მოკლე ისტორია და სპეციფიკის განმარტება. აღნიშნულია, რომ მუსიკალურ საკრავებს სამეცნიერო დისციპლინა – **ორგანოლოგია** შეისწავლის. ორგანოლოგია, როგორც მუსიკალური საკრავების შემსწავლელი დამოუკიდებელი აკადემიური დისციპლინა, მე-19 საუკუნეში ყალიბდება ამერიკასა და ევროპაში მრავალრიცხოვანი საკრავების კოლექციების კერათა გაფართოების პარალელურად. ორგანოლოგები, რომლებიც, ამავდროულად, მუზეუმის კურატორებიც გახლდნენ, სწორედ ამგვარ კოლექციებს ეფუძნებოდნენ და იდგნენ მათი კომპლექსური კლასიფიკაციისა და აღწერის გამოწვევის წინაშე. ტერმინი „ორგანოლოგია“ მეცნიერმა ნიკოლას ბესარაბოვმა 1941 წელს შემოიტანა (Bessaraboff, 1941). პირველ ქართულ ორგანოლოგიურ ნაშრომებად შეგვიძლია მივიჩნიოთ დიმიტრი არაყიშვილის (Аракишвили, 1916; არაყიშვილი, 1940), ივანე ჯავახიშვილის (ჯავახიშვილი, 1936) და შალვა მშველიძის (1965) მონოგრაფიული შრომები.

საკრავების მეცნიერული შესწავლა უძველესი პერიოდიდან იღებს სათავეს, რაც ჩინური (ჩვ.წ. III) და ინდური ტრაქტატებით (ჩვ.წ. II) დასტურდება. მე-17 საუკუნიდან მოიპოვება პირველი ორგანოლოგიური ნაშრომები. ასეთებია მიქაელ პრეტორიუსის *სინტაგმა მუზიკუმ* (Syntagma musicum ii, Wolfenbüttel. Praetorius. Michael, 1618) და *თეატრუმ ინსტრუმენტორუმ* (Theatrum instrumentorum, Wolfenbüttel. Praetorius. Paris. Michael, 1620). აქ ვხვდებით საკრავების აღწერას მათი რეალური ზომების მითითებით. შემდეგია მარინ მერსენისა (*Harmonie universelle*, Mersenne, 1636) და ათანასიუს კირხერის ენციკლოპედიური ნაშრომები (*Musurgia universalis, sive ars magna consoni et dissoni da*

Obeliscus Pamphilius. Kircher, 1650).

განხილულია მნიშვნელოვანი ორგანოლოგიური ნაშრომები: კურტ ზაქსის პირველი ორგანოლოგიური ლექსიკონი გერმანულ ენაზე (Sachs, 1913), ზაქსისა და ჰორნბოსტელის ყველაზე ცნობილი ნაშრომი საკრავების კლასიფიკაციაზე (Hornbostel, Sachs, 1914). ყურადღებაა გამახვილებული ჰენრი ჯონსონის თვალსაზრისზე, რომელიც კულტურის გარეშე დამკვირვებლებთან ერთად დიდი ყურადღებას უთმობს ე.წ. „ინსაიდერებს“, ასევე, ცნობილი ორგანოლოგების რეგულა ქურეშისა და მეგან რანსიერის, დაბლდებისა და დევალეს შეხედულებებზე, რომელთა მიხედვით, საკრავები არიან ისტორიული, სოციალური, მუსიკალური და ემოციური ინფორმაციის, კულტურული ცნობიერების მატარებლები.

დიდი ადგილი ეთმობა ცალკეულ საკრავებსა თუ საკრავთა ჯგუფებზე ქართველი მეცნიერების ნაშრომების განხილვას (დიმიტრი არაყიშვილი, ვალენტინა სტემენკო-კუფტინა, ივანე ჯავახიშვილი, ავქსენტი მეგრელიძე, გრიგოლ ჩხიკვაძე, ვლადიმერ ახოზაძე, შალვა ასლანიშვილი, კახი როსებაშვილი, ოთარ ჩიჯავაძე, ბორის გულისაშვილი, ლევან ფრუიძე, დავით ალავიძე, მანანა შილაკაძე, თინათინ ჟვანია, თამაზ გაბისონია, ნინო კალანდაძე-მახარაძე და სხვ.). ხაზგასმულია მათი წვლილი და მნიშვნელობა ქართული საკრავების შესწავლის საქმეში.

გარდა საკრავების კომპლექსური კვლევისა, გამოყოფილია ცალკეულ ჯგუფებსა და ცალკეული საკრავების კვლევაზე მიმართული ნაშრომები. მაგალითად, აღნიშნულია, რომ მკვლევართა დიდი ნაწილი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ძველ ქართულ ხელნაწერ წყაროებში მოხსენიებული ტერმინების შესწავლას (სტემენკო-კუფტინა (Стещенко-Куптина, 1936), ჯავახიშვილი (ჯავახიშვილი, 1938), ჩხიკვაძე (ჩხიკვაძე, 1952, 1963, 1973), ჩიჯავაძე (ჩიჯავაძე, 2009), შილაკაძე (შილაკაძე, 2005), ფირცხალავა (ფირცხალავა, 2015).

მიმოხილულია უცხოენოვან მკვლევართა სამეცნიერო ნაშრომებიც, რომლებიც ქართულ საკრავებს შეისწავლიან. მნიშვნელოვან წყაროებად დასახელებულია ზიგფრიდ ნადელისა და ვიქტორ ბელიაევის შრომები. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უცხოური წყარო ქართული მუსიკალური საკრავების შესახებ კურტ ზაქსის 1913 წელს გამოცემული ლექსიკონია (Sachs, 1913). ეს მონაცემები შეივსო და დაემატა ლექსიკური ერთეულებიც გროუვის მუსიკალური საკრავების ლექსიკონში, რომელსაც ზაქსის

გამოცემასთან ერთი საუკუნე აშორებს, მაგრამ საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული მუსიკალური საკრავების შესახებ არსებული ცნობების მხრივ მაინც იშვიათ და უმნიშვნელოვანეს წყაროდ რჩება. მის პირველ რედაქციაში შესული იყო ქართულ საკრავებზე ჩხიკვაძის მიერ შედგენილი სტატიები, ხოლო მათი გადამუშავებული და შევსებული ვერსიები დისერტაციის ავტორის მიერაა მომზადებული მეორე, 2014 წლის გამოცემისთვის (The Grove Dictionary of Musical Instruments, 2nd edition, published in 2014).

აღნიშნულია ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში ინგლისურენოვანი ორგანოლოგიური ლიტერატურის შემოტანის მნიშვნელობა, ვინაიდან, დღემდე, ქართველ მეცნიერთა ნაშრომები ეყრდნობოდა რუსულ და სულ რამდენიმე წყაროს სახით – გერმანულენოვან ლიტერატურას. საკრავების კვლევის არეალი ძალზე ვიწროა, თუკი არ იქნება გათვალისწინებული ინგლისურენოვანი მეცნიერების კვლევები, მეთოდოლოგია, მიდგომები და სიახლეები. ფუნდამენტური ორგანოლოგიური ნაშრომებიდან, რომლებიც მუსიკალური საკრავების კვლევის საუკეთესო და საერთაშორისოდ აღიარებულ პრაქტიკას წარმოადგენს, აღნიშნულია კურტ ზაქსის (Sachs, 1940), ლაურენს პიკენის (Picken, 1975), ნიკოლას ბესარაბოფის (Bessaraboff, 1941), ენტონი ბეინსის (Bains, 1960), მენტლი ჰუდის (Hood, 1971), ჯერემი მონტეგიუს (Montagu, 2007) ნაშრომები, რომლებიც გათვალისწინებულია სადისერტაციო კვლევაში.

აქვეა მიმოხილული მუსიკალური ინსტრუმენტარიუმის წარმოშობისა და განვითარების შესახებ არსებული სამეცნიერო ნაშრომები და გამოთქმული თეორიები. არქეოლოგიური მასალა, დაწყებული პალეოლითიდან, საშუალებას იძლევა დადგინდეს კაცობრიობის ზოგადკულტურული დონე მისი ისტორიის უძველესი პერიოდიდან.

უძველესი საკრავების შესახებ ნაშრომები ორგვარი პრინციპითაა აგებული, ცივილიზაციებისა და ქვეყნების მიხედვით და საკრავების ჯგუფების მიხედვით. საკრავების წარმოშობისა და გავრცელების შესახებ თეორიები განხილულია კულტურის განვითარების ევოლუციონისტური და დიფუზიონისტური თეორიების ჭრილში.

ხაზგასმულია მსოფლიოში გავრცელებულ საკრავებს შორის არსებული გარეგნული, ტერმინოლოგიური და სოციალური ფუნქციონირების თავისებურებების მსგავსება. განხილულია ქართული ინსტრუმენტარიუმის ეთნოკულტურული

ურთიერთობები და ძირითადი ურთიერთგავლენები, რომელიც იკვეთება სხვა ხალხების კულტურებთან. დადასტურებულია ძველი ქართული კულტურის კავშირები – მესოპოტამიურ (შუმერულ, ხეთურ, ხურიტულ, ურარტულ და სხვ.), ეგეოსურ-ელინურ და ირანულ-აქემენიდურ კულტურებთან. ახ. წ.-დან XX საუკუნემდე საქართველოს კულტურული თუ პოლიტიკური ურთიერთობები ჰქონდა საბერძნეთის, რომის, ბიზანტიის, ირანის, არაბეთის, მონღოლეთის, თურქ-ოსმალების, რუსეთის იმპერიებთან, აგრეთვე, ჩრდილოკავკასიურ, სომხურ, აზერბაიჯანულ და სხვ. კულტურებთან.

კვლევის მეთოდოლოგია და საკრავთა კლასიფიკაციის პრინციპები

მუსიკალური საკრავის კომპლექსური ბუნებიდან გამომდინარე ნაშრომში საკრავები შესწავლილია ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდებით, რომელიც აერთიანებს ეთნომუსიკოლოგიური და ორგანოლოგიური კვლევის მრავალ მეთოდს საკრავის მორფოლოგიური (სტრუქტურა), ერგოლოგიური (წარმოება, დამზადების ტექნოლოგია) და სოციოკულტურული მონაცემების შესასწავლად. შესაბამისად, დისერტაციაში გამოყენებულია ისტორიული, შედარებითი, კომპლექსური, სისტემური, სტრუქტურულ-ტიპოლოგიური¹, თვისობრივი და რაოდენობრივი, მთლიანი და ჰოლისტური ანალიზის მეთოდები. აგრეთვე, გამოყენებული კვლევის მეთოდები ითვალისწინებს სამეცნიერო პრაქტიკაში დამკვიდრებულ სისტემურ და ისტორიულ² მიდგომებს, რომლებიც ინსტრუმენტებს შეისწავლის, როგორც ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ესთეტიკურ და კულტურულ ფენომენს.

¹ საკრავიერი მუსიკის სტრუქტურულ-ტიპოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია ჩამოყალიბებულია ხალხური ინსტრუმენტული მუსიკის რუს მკვლევრებთან (Б.В. Асафьев, Е.В. Гиппиус, К.В. Квитка, Ф.М. Колесса, В.Я. Пропп, Е.В. Назайкинский, И.И. Земцовский, И.В. Мациевский).

² პირველ მათგანში იგულისხმება საკრავების ფიზიკური მახასიათებლების მიხედვით კვლევა ისტორიული ასპექტის გარეშე (სტრუქტურა, ზომები, ტაქსონომიური გავრცელება, ხის დამუშავების ხარისხი, მასალა, დამზადების ტექნოლოგია, მუსიკალური და ხმის თვისებები, საკუთრივ მუსიკალური მასალა; იყენებს ემპირიული მეცნიერებების მეთოდებს, რაც მოიცავს აღწერას, დოკუმენტირებას, ზომების დაზუსტებას, სტრუქტურულ ანალიზს და მასალის იდენტიფიკაციას; მუსიკალური საკრავების აკუსტიკური ბუნების კვლევაც სისტემურ მეთოდოლოგიას მიეკუთვნება), მეორის მიხედვით კი ხდება საკრავების, როგორც ერთიანი მოვლენის, ისე სისტემური მეთოდოლოგიის ფარგლებში გამოკვეთილი მისი ინდივიდუალური ასპექტების ზოგად ისტორიულ ჭრილში განხილვა (Heyde, 2001). აღნიშნული დაყოფა სათავეს იღებს ჯერ კიდევ გვიდო ადღერისეული დეფინიციიდან (1885), როცა მან მუსიკოლოგია დაყო ისტორიულ და სისტემურ სფეროებად.

საკრავთა კვლევის პროცესში პირველი ეტაპის მეთოდოლოგიურ სამუშაოდ მიჩნეულია მათი კლასიფიკაციის პრინციპების განსაზღვრა. კვლევის მეთოდოლოგიის ნაწილშივე მიმოხილულია:

1. საკრავების კლასიფიკაციის ისტორია, რომელიც იწყება ჩინური და ინდური კულტურებიდან და სრულდება მაილონისა და ჰორნბოსტელ-ზაქსის (H-S) კლასიფიკაციის საერთაშორისო სისტემებით;
2. კლასიფიკაციის შესახებ არსებული ფუნდამენტური სამეცნიერო ნაშრომები – მარგარეტ კარტომის – „საკრავების კონცეფცია და კლასიფიკაცია“ (Kartomi, 1990) და ჯერემი მონტეგიუს – „მუსიკალური საკრავების წარმოშობა და განვითარება“ (Montagu, 2007);
3. საკრავთა კლასიფიცირების ქართული სამეცნიერო პრაქტიკა სულხან-საბა ორბელიანის, ნიკო ჩუბინაშვილის, ივანე ჯავახიშვილის, გრიგოლ ჩხიკვაძის, დავით ალავეძის სამეცნიერო ნაშრომების მაგალითზე.

და ბოლოს, H-S საკლასიფიკაციო სისტემის ბოლო, MIMO-ს მიერ განახლებული ვერსიის მიხედვით განსაზღვრულია საკლასიფიკაციო ინდექსები ქართული საკრავებისათვის:

I. იდიოფონები
წინწილა – 111.142
ზარი – 111.242
ეჟვანი – 111.242.122
II. მემბრანოფონები
დიპლიპიტო – 211.12
დოლი – 211.212.12
დაირა – 211.311/112.121
III. ქორდოფონები
ჭუნირი/ჭიანური – 321.312–71 (ბგერათწარმოება ხდება ხემის გასმით). ორივე მხარეს დახურული
ჭუნირი/ჭიანური – 321.313–71 (ბგერათწარმოება ხდება ხემის გასმით). ცალ მხარეს ღია
ჭუნირი/ჭიანური – 321.321–71 (ბგერათწარმოება ხდება ხემის გასმით). მრგვალი მუცლით
ფანდური – 321.321–5
ხეცურული ფანდური – 321.322–5
ჩონგური – 321.321–5
ჩანგი – 322.12–5
ჩანგი – 322.211–5 – დახურული/ჩარჩოვებული ჩანგი

IV. აეროფონები
გარმონი (მათ შორის, წიკო-წიკო) – 412.132
ლარჭემი/სოინარი – 421.112.11
პილილი, უგუდო ჭიბონი – 421.221.11
ენიანი სალამური – 421.221.12
უენო სალამური – 421.111.12
გუდასტვირი/ჭიბონი – 422.221.2–62
ბუკი – 423.121.11. არ აქვს სახმო ნახვრეტები

დისერტაციის გეგმაში საკრავები დალაგებულია H-S კლასიფიკაციის სისტემის მიხედვით.

I თავი

მუსიკალური საკრავების აღმნიშვნელი ტერმინები ძველ ქართულ წერილობით წყაროებსა და თანამედროვეობაში

დისერტაციის პირველი თავი ეძღვნება ძველ ქართულ წერილობით წყაროებში დასახელებულ საკრავების აღმნიშვნელი ტერმინების მნიშვნელობის დადგენას უცხოენოვანი წყაროებისა და სამეცნიერო ნაშრომების დახმარებით.

I თავი შედგება ორი ნაწილისაგან. **I ქვეთავში** შეჯამებულია ნათარგმნი და ორიგინალური სალიტერატურო წყაროები, ხოლო **II ქვეთავში** განხილულია ცალკეული ტერმინი საკრავთა ჯგუფებისა და ქვეჯგუფების მიხედვით.

I თავის შესავალში დასახელებულია ორი ძირითადი წყარო, სადაც საკრავების აღმნიშვნელი ტერმინები ყველაზე დიდი ოდენობით გვხვდება, ესენია ბიბლიის ქართული თარგმანები და სულხან-საბას ლექსიკონი. გარდა ამისა, მოხსენიებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ლექსიკონი და ძველი ქართული ორიგინალური და ნათარგმნი ლიტერატურის 20-მდე წყარო. აქვე, განხილულია ყველა ის ქართულენოვანი ნაშრომი, რომელშიც საკრავების აღმნიშვნელი ძველი ქართული ტერმინებია შესწავლილი. მათ შორის, ვალენტინა სტეშენკო კუფტინას (1936), ივანე ჯავახიშვილის (1938), გრიგოლ ჩხიკვაძის (1952, 1957, 1963, 1973), ია მაქაცარიას (2001), მანანა შილაკაძის (2005), ოთარ ჩიჯავაძის (2009), ფირცხალავას (2015) და სხვ. შრომები. გარდა ქართულენოვანისა, მიმოხილულია ჯერემი მონტეგიუს (Montagu, 2002), თეოდორ ბერგის (Burgh, 2006), ელენა კოლიადას (Kolyada, 2009), ჯონ არტურ სმიტს (Smith, 2011), იოაკიმ ბრაუნსა (Braun, 2012) და სხვ. ფუნდამენტური ნაშრომები.

საკრავების აღმნიშვნელი ძველი ქართული ტერმინების კვლევისას ერთ-ერთი სირთულე იმ ძველი სახელწოდებების იდენტიფიცირებაა, რომლებიც დღეისათვის აღარ გამოიყენება. ძველ წერილობით წყაროებში გავრცელებული ასეთი ტერმინები რამდენიმე ათეულით აღემატება დღეს პრაქტიკაში არსებულ ტერმინთა რაოდენობას და მათი უმეტესობის მნიშვნელობა ბუნდოვანია. მათ შორის, დიდი ნაწილი უცხოური ტერმინია, რომელიც თარგმანის ან ტრანსკრიფციის გზით არის შემოსული. მათი შესწავლისას ვეყრდნობი ოქსფორდის გროუვის მუსიკალური საკრავების ლექსიკონის მეორე, შევსებულ გამოცემას (Grove, 2014), რომელიც მთელ მსოფლიოში გავრცელებული მუსიკალური საკრავებისა და მათი აღმნიშვნელი ტერმინების ყველაზე სრულყოფილ და სანდო წყაროს წარმოადგენს. რაც შეეხება თანამედროვეობაში გავრცელებულ ორიგინალურ ქართულ და უცხოურ ტერმინებს, მათი მნიშვნელობა დღეისათვის საყოველთაოდ ცნობილია. ამასთან, კვლავაც დაზუსტებას საჭიროებდა ეტიმოლოგიური საკითხები, რომელთაც დისერტაციაში ვეხები.

კვლევის პროცესში წყაროები შესწავლილია კომპლექსურად და არა მხოლოდ კონტექსტიდან ამოღებული ცალკეული ციტატის მიხედვით. აგრეთვე, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა წყაროთა სხვადასხვა მახასიათებელს, კერძოდ: ტექსტი ორიგინალურია თუ თარგმნილი? რომელ ეპოქას მიეკუთვნება? ორიგინალური ტექსტების შესწავლისას მაქსიმალურად ვითვალისწინებ ავტორისა და ნაწარმოების შესახებ ცნობებს და სხვ.

I ქვეთავის პირველ ნაწილში მოკლედ არის განხილული ბიბლიის სტრუქტურა, შექმნის ისტორია და თარგმანების სპეციფიკა, რასაც შეიძლება გავლენა მოეხდინა ორიგინალ და ნათარგმნ ვერსიებში საკრავთა აღმნიშვნელი ტერმინების მრავალფეროვნებასა და მნიშვნელობაზე. დასახელებული და შესწავლილია ჩვენამდე მოღწეული სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა ენიდან თარგმნილი ოთხი სრული კრებული (ოშკის (ხელნაწერი Ath. 1, 978 წ.), გელათის (A 1108 და Q 1152, XII სს.-ისა), მცხეთის (A 51, XVII-XVIII სს.-ის) და ბაქარის ბიბლია (ხელნაწერი A 455 (1743 წლის გამოცემული ბაქარის ნაბეჭდი ბიბლია) და ძველი (34 ერთეული) და ახალი (40-მდე ერთეული) აღთქმის 80-მდე არასრული ხელნაწერი. დაზუსტებულია, რომ ბიბლიის ხელნაწერების ხელმისაწვდომობის სირთულიდან გამომდინარე, თავად სულხან-საბას,

ჯავახიშვილსა და შილაკაძეს მხოლოდ რამდენიმე წყარო ჰქონდათ დამოწმებული (ძირითადად, ბაქარის, მცხეთური და ოშკის).

ბიბლიის ქართულ თარგმანებში დასახელებული საკრავების აღმნიშვნელი ტერმინების ცხრილი გაერთიანებულია მონტეგისეულ ცხრილთან, რომელშიც შეჯამებულია მეფე ჯეიმსის (King James) ინგლისური, ლათინური ვულგატას (Vულგატე), ბერძნული სეპტუაგინტისა (Septuagint) და ებრაული (Hebrew) წყაროები. ცხრილში მითითებულია ქართული ხელნაწერი წყაროები და მოტანილია ტერმინები როგორც ცალკე, ისე მთლიანი ციტატების სახით. აქედან გამომდინარე, თვალნათლივ ჩანს:

1. გამოყენებული ტერმინები ხელნაწერების მიხედვით;
2. ტერმინთა ცვლილებები სხვადასხვა წყაროში, მათ შორის, საუკუნეების მიხედვით;
3. იმავე მუხლებში სხვადასხვა ენაზე შესრულებულ ბიბლიებში მოხსენიებული ტერმინები;
4. ხელნაწერების სისრულე და რომელი საუკუნის რომელ ხელნაწერს რა მონაკვეთები აკლია.

დაწვრილებით არის შესწავლილი ბიბლიური საკრავებისადმი მიძღვნილი შილაკაძის სტატია, რომელიც ეყრდნობა გერმანელი მეცნიერის, ეინო კოლარის კვლევას. მიღებული სიახლეები შეჯამებულია დისერტაციის დასკვნებში.

საბოლოოდ, ბიბლიაში მოხსენიებული საკრავთა სახელების კვლევის დროს გამოყენებული ყველა ხელნაწერის მონაცემთა შეჯამების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ტერმინები და მათი ვარიანტები (საკრავთა ჯგუფებში ზოგიერთი ტერმინის გადანაწილება პირობითია):

ძვ. ქართული	ახ. ქართული
იდიოფონები:	იდიოფონები:
1. ეჟუანი/ეჟუანი	1. ეჟვანი
2. წინწილა/წინწილი/წინწილაჲ	2. ზანზალაკი
3. ლინი	3. წინწილი
მემბრანოფონები:	მემბრანოფონები:
4. ბობლანი/ბრობანი	4. ბობლანი
	5. დაფდაფი
	6. დაირა
აეროფონები:	აეროფონები:
5. ნესტვ/ნესუტი/ნესუტვ	7. სალამური

6. სასტვნიველი	8. სამზუკი
7. სტვრი/სტური/ფსტვრი/სატვრი	9. სტვრი
8. საყვრი/საყვრი/საყუდრი/საყური	10. საყვრი
9. ავლი	11. რქა
10. რქა (შოფარი)	12. ვერძის რქა
	13. ბუკი
ქორდოფონები:	ქორდოფონები:
11. ებანი	14. ებანი
12. ქნარი/ქანარი	15. ქნარი
13. ფანდური	16. ათსიმიანი
14. მულნი	17. ათსიმიანი ებანი
15. ათმალი	18. ფსალმუნი
16. საფსალმუნი/საფსალმონე/ფსალმუნი	19. ჩანგი
17. სამვიკი	20. ათსიმიანი ჩანგი
18. კურთხევა	
19. საგალობელი	
ორღანო (ჩასაბერი, სიმებიანი, ან ზოგადად – მუსიკალური საკრავი)	

I ქვეთავის II ნაწილში შესწავლილია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში მოხსენიებული საკრავების აღმნიშვნელი ტერმინები. პირველ რიგში, შესწავლილია თავად წყარო, მისი ხელნაწერი წყაროები, რის საფუძველზეც მომზადდა თანამედროვე, აბულაძისეული გამოცემები (1991, 1993). ყურადღება გამახვილებულია ხელნაწერ წყაროთა ქრონოლოგიაზე და რედაქტორისეულ შენიშვნებზე, რასაც შეიძლება გავლენა მოეხდინა ლექსიკონში დასახელებული ტერმინების შესწავლაზე. ბიბლიის მსგავსად, ორბელიანის ლექსიკონში დასახელებული საკრავების აღმნიშვნელი ტერმინებიც სრული განმარტებებით წარმოდგენილია დანართში. აგრეთვე, ნაშრომში სრულადაა გათვალისწინებული ტერმინთა უცხო შესატყვისები თურქული, ლათინური და სომხური წყაროებიდან, რაც კიდევ უფრო აღრმავებს ჩვენს ცოდნას საბას მიერ შესწავლილი ტერმინების შესახებ.

კვლევისას ყურადღება გავამახვილე ბიბლიურ თარგმანებსა და სულხან-საბას ლექსიკონს შორის საინტერესო კავშირზე, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმული არ ყოფილა. კერძოდ, ბიბლიის მე-18 ს.-ის წყარო, სულხან-საბას მიერ იყო რედაქტირებული „მცხეთური ხელნაწერი“ და სხვა ხელნაწერებთან შედარებით, მუსიკალური საკრავების აღმნიშვნელი ტერმინების განახლებული ბაზით გამოირჩევა. ეს რედაქცია განსაკუთრებით საინტერესოა, ვინაიდან საშუალება გვაქვს სულხან-საბას

მიერ დამუშავებულ ტექსტებში გამოყენებული ტერმინები მისსავე ლექსიკონში გადავამოწმოთ. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ თარგმანის რედაქტირების დროს სულხან-საბას მიერ გამოყენებული ზოგიერთი ტერმინი აღნიშნავდა მისთვის კარგად ნაცნობი ან იმ პერიოდის საქართველოში გავრცელებულ საკრავს, ვინაიდან მათ ვხვდებით ამ ეპოქის ორიგინალურ თუ ნათარგმნ სალიტერატურო წყაროებშიც. ამას ვერ ვიტყვით ბიბლიის თანამედროვე მთარგმნელებზე, რომელთაც ხშირად უწევთ ისეთი ტერმინოლოგიის გამოყენება, რომლის მნიშვნელობაც არ იციან.

I ქვეთავის მესამე ნაწილში შესწავლილია კიდევ რამდენიმე ლექსიკონი და 20-მდე ნათარგმნი თუ ორიგინალური სალიტერატურო წყარო, მათ შორის, ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონები (ნ. ჩუბინაშვილი, 1961; დ. ჩუბინაშვილი, 1840, 1984), ასევე – ილია აბულაძისა (აბულაძე, 1973) და ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონების (1950–1964)³ მონაცემები. ჩემ მიერ დამუშავებული ძირითადი სალიტერატურო წყაროებია: „შუშანიკის წამება“ (V ს.), წმ. ნინოს ცხოვრება (X, XII ს.), კლარჯული მრავალთავი (X ს.), იოანე პეტრიწის „განმარტებაჲ პროკლესათვის დიადოხოსისა“ (XI ს.), მატიაწე ქართლისაჲ (XI ს.), „ვეფხისტყაოსანი“ (XII ს.), „ვისრამიანი“ (XII ს.), „თამარიანი“ (XIII ს.), თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის, ბასილი ეზოსმოდვრის თხზულება (XIII ს.), „აბდულმესიანი“ (XIII ს.), „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (XIII ს.), „ძეგლი ერისთავთა“ (XIV–XV ს.), შაჰნამე (XVI–XVII ს.), შაჰნავაზიანი (XVI–XVII ს.), ბარამგურიანი (XVII ს.), „დავითიანი“ (XVIII ს.), „მოგზაურობა ევროპაში“ (XVIII ს.) და სხვ. ზემოაღნიშნული წყაროების მსგავსად, ამ წყაროებიდანაც ამოკრებილია სრული ციტატები და შეჯამებულია დანართებში.

I თავის II ქვეთავში შეჯამებულია I ქვეთავში შექმნილი მონაცემთა ბაზის შედეგად მიღებული ინფორმაცია და კრიტიკულად არის განხილული დღემდე არსებული სამეცნიერო გამოკვლევების შედეგები. შესწავლილია 70-მდე ტერმინი (ზოგიერთი ნაკლებად ცნობილი ტერმინი საკრავთა ჯგუფებში გადანაწილებულია პირობითად):

იდიოფონები: *ქჟვანი, ზანზალაკი, წინწილა, ღინი, ზარი, ზარაზინი, კუდუნნი, კანკური, სარეკელი, აგრეთვე, პარი და სინჯი;*

³ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.

წყარო: <http://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php> (01.08.2022).

მემბრანოფონები: ბობლანი, დაფი, დაფდაფი, დაირა, დოლი, ნაღარა, ქოსი, სპილენძჭური, დუმბული, აგრეთვე, ნობა/ნობი, ნობათი, ნაღარახანა, სამვიკი და სპერიმური;

აეროფონები: ნესტი, სასტვინველი, სალამური, საყვირი, ბუკი, სტვირი, გუდასტვირი, ჭიბონი, ყვიროსტვირი, ზროხაკუდი, ნაფირი, ქანარა, ლარჭემი/სოინარი, ავლი, რქა, ასოსრა, აგრეთვე, იობელისნი, რომელიც აეროფონების კონტექსტშია მოხსენიებული;

ქორდოფონები: ჩანგი/შიმეკვე, ქნარი, ჩონგური, ფანდური, ჭუნირი/ჭიანური, ებანი, ათძალი, ბარბითი, აგრეთვე, საფსალმუნე, კურთხევა, საგალობელი, რომლებიც ქორდოფონების კონტექსტშიც არის მოხსენიებული.

ტერმინების მრავალფეროვან კონტექსტში შესწავლამ და უცხოური ტერმინების გროუვის ლექსიკონში გადამოწმებამ გამოავლინა, რომ ტერმინთა ამგვარი მრავალფეროვნება, განსხვავებული და ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო მნიშვნელობები დამახასიათებელია არა მხოლოდ ქართული, არამედ, ზოგადად, მსოფლიოში გავრცელებულ მუსიკალურ საკრავთა აღმნიშვნელი ტერმინებისათვის. მიღებული შედეგები შეჯამებულია დისერტაციის ბოლოს დასკვნებში.

II თავი

ქართული ინსტრუმენტარიუმის სოციოკულტურულ ასპექტებს

დისერტაციის II თავი ეძღვნება ქართული ინსტრუმენტარიუმის საკრალური ბუნებისა და მათი ფუნქციონირების სოციოკულტურული ასპექტების შესწავლას საკრავთა ჯგუფებისა და ცალკეული საკრავების ინდივიდუალური მახასიათებლების მიხედვით. აქ თავმოყრილი, აღწერილი და გაანალიზებულია ქართული ინსტრუმენტების ფუნქციონირების სხვადასხვა წახნაგი თანამედროვე ეთნო-ორგანოლოგიური პერსპექტივიდან.

II თავი ორი ქვეთავისაგან შედგება.

I ქვეთავი „საკრავები ქართულ ზეპირსიტყვიერ ტექსტებში“ ეყრდნობა ზეპირსიტყვიერ მასალას (თქმულებები, გადმოცემები, ლეგენდები, ლექსები) და ეთნოგრაფიულ მონაცემებს.

სამუსიკო საკრავებზე მნიშვნელოვანი ინფორმაციაა დაცული ზეპირსიტყვიერ ტექსტებში მათი შექმნის, ფუნქციონირების, სასწაულმოქმედი ძალის შესახებ. მრავალი მითი და ლეგენდა შექმნილა და დღემდე, მთელ მსოფლიოში, მრავალი საკულტო-რელიგიური რიტუალის განუყოფელი ნაწილია. ქართული საკრავების სოციალური როლი დიდი იყო ქართულ ტრადიციულ წეს-ჩვეულებებსა და დღესასწაულებში, ქორწილებსა თუ სახალხო შეკრებებში. პრაქტიკულად ყველა ტრადიციულ საკრავს ჰქონდა და ზოგიერთს დღემდე შემორჩა საკრალური ფუნქცია, მათ შორის, საქართველოში.

სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ მკვლევართა მიერ შესწავლილ ქართულ ზეპირსიტყვიერ მასალაში ქართული ინსტრუმენტარიუმიდან მოხსენიებულია ჩასაბერი (სტვირი⁴, ჭიბონი, სალამური, ზურნა) და სიმებიანი საკრავები (ჩანგი, ფანდური, ჩონგური, ჭუნირი, ჭიანური). აგრეთვე, ყველა ჩამოთვლილი საკრავის შესახებ, გარდა ჩონგურისა, მოგვეპოვება მათ წარმოშობასთან დაკავშირებული ლეგენდა-თქმულება-ზღაპრებიც. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ ლიტერატურაში არ ვხვდებით ინფორმაციას ქართული თვითმქდერი და დასარტყამი საკრავების შესახებ, იმის მიუხედავად, რომ მათი ადგილი საკმაოდ დიდია ქართულ ინსტრუმენტარიუმში; აგრეთვე, მათთან დაკავშირებული ტერმინოლოგია, ხელნაწერ წყაროებში აღწერილი მათი სოციალური ფუნქცია და სამუზეუმო არტეფაქტები მათ სიძველეზე მიუთითებს. მათ შესახებ ინფორმაცია შევსებულია ზურაბ კიკნაძის კვლევებზე დაყრდნობით.

კვლევის პროცესში ყურადღება გამახვილებულია წყაროებში საკრავების აღმნიშვნელი ტერმინების რეალური მნიშვნელობის დადგენის აუცილებლობაზე. მაგალითად, ტექსტების ანალიზისას დაზუსტებულია, რომ წყაროებში სადაც ლაპარაკია სტვირზე, შესაძლოა, იგულისხმებოდეს გუდასტვირი, სალამური, ან მარტივი კონსტრუქციის ენაკიანი სტვირი, რომელსაც დღეს საბავშვო სათამაშოების რიგში განვიხილავთ. ზოგჯერ, ტერმინის იდენტიფიცირება მარტივია, ზოგჯერ კი – ფაქტობრივად, შეუძლებელი. აქ, ასევე, გასათვალისწინებელია, თუ ზეპირსიტყვიერების რა ჟანრის ნიმუშია მოხსენიებული ტერმინი. მაგალითად, ლეგენდის, თქმულების შემთხვევაში სტვირში, რომელზეც დამღერება ხდება, უთუოდ

⁴ სხვადასხვა ტექსტში იგულისხმება როგორც მარტივი კონსტრუქციის უგუდო სტვირი, ისე – გუდასტვირიც.

გუდასტვირი იგულისხმება, ხოლო ზღაპარში, შესაძლებელია, პატარა ბიჭმა მარტივი კონსტრუქციის სტვირი შექმნას და რეალური სტვირის დედნისაგან განსხვავებით, ნაირგვარი ჰანგები დაუკრას. ვფიქრობ, ზღაპარშიც, სადაც საკრავზე დაკვრასა და დამღერებაზე რეალობას მიმსგავსებულ ყოფაშია ლაპარაკი, გუდასტვირი უნდა იგულისხმებოდეს.

ამავე ქვეთავში შეჯამებულია საკრავებს შესახებ არსებული მითოლოგიური გადმოცემები. მათ შორისაა ლეგენდები ჩანგის, ჩონგურის, ჭუნირის/ჭიანურის/ჭიანდურის, სალამურებისა და სტვირების შესახებ.

ზეპირსიტყვიერების სხვა ჟანრებისგან განსხვავებით, ლექსებში ყველაზე მასშტაბურად საკრავი ფანდურია წარმოდგენილი. აქვე ვხვდებით ინფორმაციას გუდასტვირზე, ჭიანურზე, ზანზალაკებზე, სალამურზე, სტვირზე და სხვ. თქმულება-ლეგენდებში გამოვლენილი საკრავების სულიერი ბუნება და მისნური ძალა ასახულია ლექსებშიც.

I ქვეთავის დანართში შეჯამებულია დღემდე გამოვლენილი ტექსტები როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან, ისე მათი დედნისეული სრული ვერსიები. აქ გამახვილებულია ყურადღება წყაროში მოხსენიებული საკრავის რეალურ საკრავებთან კავშირზე. საკრავთა მოხსენიების კონტექსტის გათვალისწინებით დადგენილია ტერმინთა გარკვეული ნაწილის რეალური მნიშვნელობა, თუ რომელი საკრავი შეიძლება იგულისხმებოდეს ტექსტში. ამავე ქვეთავის მეორე ნაწილში შეჯამებულია ზეპირსიტყვიერი მასალების თემატიკა, რაც მოიცავს საკრავების წარმოშობის, მათი ჯადოსნური ძალისა და ზოგადად, საკრალური ბუნების შესახებ ცნობებს.

II ქვეთავში „ქართული ინსტრუმენტარიუმი ეთნოგრაფიულ ყოფაში“ მოიცავს მრავალფეროვან ინფორმაციას ქართული ინსტრუმენტარიუმის ეთნოგრაფიულ ყოფაში ფუნქციონირების შესახებ. საკრავების როლი შეუცვლელი იყო ქართულ ტრადიციულ წეს-ჩვეულებებსა და დღესასწაულებში, ქორწილებსა თუ სახალხო შეკრებებში. მათი ნაწილი ჯერ კიდევ ცოცხალია სოფლურ ყოფაში. ქართული ინსტრუმენტარიუმის ეთნოგრაფიული რაკურსით კვლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის მათი ფუნქციონირების, მისი სოციოკულტურული მნიშვნელობის, ზოგჯერ, საკრალური ბუნების შესახებ.

II ქვეთავი 10 მონაკვეთისაგან შედგება:

1. მუსიკალური საკრავების როლი ბავშვებთან დაკავშირებულ რიტუალებში: სამეობო დასაკრავები, ავი სულებისაგან დაცვა და სხვ., ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში მუსიკალური საკრავების მნიშვნელობა ჯერ კიდევ ბავშვის დაბადებამდე იკვეთება. არსებობს იშვიათი ცნობა, რომ ხახმატის ჯვარს, რომელსაც ხალხის რწმენით, ქაჯეთის ციხიდან მოტაცებულ, ძვირფასი ქვებით მოჭედილ ძროხის რქასა და ოქროს ჩონგურს (იგულისხმება – ფანდური) სწირავდნენ და უშვილოთათვის შვილის გაჩენას ან უვაჟოთათვის ვაჟის მიცემას ევედრებოდნენ. აქ განხილულია: ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული სამეობო სიმღერა „მზე შინა“, რომელიც ჩონგურის თანხლებით სრულდება; ძეობის რიტუალში გუდასტვირის გამოყენების საინტერესო ცნობები ვახუშტი ბატონიშვილისა და თეიმურაზ II-ის გადმოცემებიდან; ჭიბონზე დაკვრა აჭარაში ძეობის რიტუალში; ბავშვის დაძინების პროცესში ჩონგურზე, ჭუნირსა და ჩანგზე დაკვრის, ასევე, ქვებზე კაკუნით ავი სულების დაფრთხობის ტრადიცია; ბავშვის ავი თვალისაგან დასაცავად მძივებისა და საჩხაკუნებლების დაკიდება.

2. მუსიკალური საკრავები შელოცვებში, სალოცავებსა და საკულტო-რელიგიურ რიტუალებში. ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში მუსიკალური საკრავების გამოყენება დასტურდება სხვადასხვა შელოცვასა და მაგიურ რიტუალში, განსაკუთრებით, ავი სულების დასაფრთხობად. მეორე მხრივ, საკრავის წარმოშობა შესაძლოა ეშმაკთანაც იყოს დაკავშირებული, რასაც ჭიბონის მაგალითზე ვხედავთ. გამოიკვეთა, რომ საკრავების საკრალური ფუნქციით გამოყენებისას უპირატესობა იდიოფონებს და ქორდოფონებს ენიჭებათ, თუმცა აეროფონების შესახებაც გვაქვს ცნობები. დადასტურებულია დაავადებული ცხოველის ან უნაყოფო ხის, აგრეთვე, უშვილო ქალის შელოცვებში ფანდურისა და ჩონგურის გამოყენება; ზარების, ზანზალაკებისა და ეჟვნების გამოყენების არეალი შესწავლილია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში არსებული ეთნოგრაფიული ყოფისა და რიტუალების კონტექსტში, კერძოდ: ფანდურისაგან განსხვავებით, ზარი/ზანზალაკი მხოლოდ საკულტო დანიშნულებით გვხვდება საყმოში, მაშინაც კი, როცა იგი პირუტყვის კისერზეა შებმული; ჯვრის გარშემო შემოკრებილი საყმოს საზღვრებს, ერთგვარად, სალოცავის ზარის ხმასაწიერი განსაზღვრავს; საყმოს ტერიტორიის უმაღლეს ადგილზე აღმართულია საზარე, რომელიც ჯვრის დაარსების ნიშნად დგას და ნიშანია იმისა, რომ ეს ადგილი წმინდაა

და ჯვარს ეკუთვნის; საკლავის დაკვლა ევალეზოდა (კიკნაძე, 1996: Ixxix–Ixxx). აღსანიშნავია, რომ ზარს გაუნათლავი ხელი ვერ შეეხება დასარეკად, შესაბამისად, ზოგ შემთხვევაში, იგი სამალავში იმალება და სხვ. აეროფონებთან დაკავშირებით, აღნიშნულია ქართული მრავალღეროიანი სალამურის გამოყენების ტრადიცია მიცვალებულის „სულის დაჭერის“ წესში, სალამურების გამოყენება ავი სულების დასაფრთხობად.

3. შრომის პროცესი (მიწათმოქმედება). ქართული მუსიკალური საკრავების მიწათმოქმედების კულტურასთან კავშირი გამოკვეთილი არ არის. ამ მხრივ, საინტერესოა მსხალაძის მიერ ჩაწერილი ცნობები, რომლის მიხედვითაც, მთხრობელთა ნაწილის ცნობით ჭიბონზე მიწასთან მუშაობისას, კერძოდ, შესვენებების დროს უკრავდნენ, ხოლო ნაწილი ადასტურებს საკრავზე უშუალოდ შრომის პროცესში დაკვრის პრაქტიკას. შრომის პროცესში გუდასტვირის გამოყენების ფშაური პრაქტიკის შესახებ იშვიათ ცნობას გვაწვდის მახაური: „ფშაველი მესტვირე სამუშაოზე რომ წავიდოდა, გუდასტვირსაც თან წაიღებდა“. სტეშენკო-კუფტინა აღნიშნავდა, რომ მართალია, ლარჭემის სოციალური ფუნქცია უშუალოდაა დაკავშირებული მწყემსურ ყოფასთან, მაგრამ მისი ფუნქცია ამით არ ამოიწურება – მისი ფესვები პრიმიტიულ მიწათმოქმედების უფრო ძველ სტადიას უკავშირდება. მას ორი ცნობა აქვს მოყვანილი: 1. თოხნის სამუშაოებში, რომლებსაც, ჩვეულებრივ, ნადურის თანხლებით ასრულებენ, დასვენების დროს სოინარსაც უკრავდნენ ხოლმე, და 2. სოინარს უკრავდნენ ყანაში მაშინ, როცა სიმინდის ნორჩი ტაროები ფოჩს დაისხამდა.

4. მესაქონლეობა და ნადირობა. ფლეიტის ჯგუფის საკრავები უძველესი დროიდან მესაქონლეობის განუყოფელ ატრიბუტადაა მიჩნეული როგორც მთელ მსოფლიოში, ისე – საქართველოშიც. ამის დასტური უნდა იყოს გედის ძვლის სალამური, რომელიც მცხეთის გათხრებშია აღმოჩენილი მწყემსი ბიჭის ატრიბუტიკასთან ერთად და ჩვენამდე მოღწეული XI ს.-ის ხელნაწერის ჩანახატი, სადაც მწყემსი, ცხვარი და სალამურია წარმოდგენილი. მეტიც, უენო სალამურზე მხოლოდ მწყემსური დასაკრავები სრულდებოდა. მრავალღეროიანი სალამური, ასევე, მწყემსების საკრავად არის მიჩნეული. მსხალაძის მიერ 1960-იან წლებში ზემო აჭარაში შეკრებილი ცნობების მიხედვით, იქ არ ყოფილა მწყემსი, რომელსაც ჭიბონი არ ჰქონოდა.

რაც შეეხება სამონადირეო ყოფას, მთხრობელთა გადმოცემით ლარჭემი გამოიყენებოდა, როგორც გასართობი და ურთიერთსასიგნალო საშუალება. აღნიშნულია იტალიური მისიონერის, არქანჯელო ლამბერტის ცნობა სამეგრელოში ნადირობის პროცესში დასარტყამი საკრავის გამოყენების შესახებ. ხის საყვირით ტყეში ნადირის მოდენა დაფიქსირებულია XX ს.-ის დასაწყისის იმერეთში.

5. ლხინი და სახალხო დღესასწაულები. ლხინში – ქორწილებში, სახალხო დღესასწაულებში, თეატრალურ წარმოდგენებსა და თამაშობებში, ფაქტობრივად, ყველა ჯგუფის საკრავი გამოიყენებოდა. ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებულია საკრავების დიფერენცირება ჭირის (ჩანგი, ჭუნირი, ჭიანური) და ლხინის (მაგ., ფანდური) საკრავებად. თითქმის ყველა საკრავზე არსებობს საცეკვაო დასაკრავები: სალამურზე, ლარჭემზე, გუდასტვირსა და ჭიბონზე, ფანდურსა და ჩონგურზე. იშვიათი ნიმუშებია დაფიქსირებული ჩანგსა და ჭუნირზე.

6. საბრძოლო და სასიგნალო საკრავები. ძველ ქართულ წერილობით წყაროებში დაცულია მრავალი ცნობა მუსიკალური საკრავების შესახებ. მათი უმეტესობა გამოიყენებოდა ბრძოლებში, მმართველთა კარზე, დიდ სახალხო შეკრებებზე. მათგან, გამორჩეულია სასიგნალო ფუნქციის საკრავები. სოციალური კონტექსტი, რომელშიც ასეთი საკრავები გამოიყენებოდა, ფაქტობრივად, აღარ არსებობს. გამონაკლისია ზარები, ზარაკები და ეჟნები, რომლებიც მესაქონლეობისა და ხატის ფუნქციონირების შედეგად ჯერ კიდევ არსებობს ყოფაში.

7. გენდერის საკითხი ქართულ საკრავიერ მუსიკაში. თანამედროვე ეთნომუსიკოლოგიაში მეოცე საუკუნის ბოლო პერიოდიდან აქტუალური ხდება გენდერის, ანუ მუსიკალურ კულტურებში ქალების როლისა და ადგილის შესწავლის საკითხი. სხვადასხვა კონტექსტში, ქალთა ფოლკლორი არაერთი მეცნიერის კვლევის საგანი გამხდარა (კახი როსებაშვილი, ნატო ზუმბაძე, ნინო მახარაძე და სხვ.). აღიარებულია სამეგრელოში ქალთა შემსრულებლობის მნიშვნელობა ჩონგურზე, რაჭაში – დაირაზე, თუშეთში – გარმონზე. როგორც შესწავლილი მასალიდან ჩანს, ქართული ინსტრუმენტარიუმის წარსულ და თანამედროვე პრაქტიკაში ზედმიწევნითაა ასახული ადგილობრივი სოციალური ურთიერთობები ქალებსა და მამაკაცებს შორის. ტრადიციულად, გამოკვეთილი იყო ის არეალები, სადაც ქალები, როგორც წესი, სიმებიან საკრავებზე უკრავდნენ, ანუ მკაფიოდ იყო განსაზღვრული ის სოციალური

არეალი, რომელშიც ქალები მუზიციერებდნენ. თანამედროვე საქართველოში ინსტრუმენტალისტი მამაკაცების რიცხვი გაცილებით დიდია, ვიდრე ქალებისა.

8. ავადმყოფის მკურნალობა მუსიკალური საკრავებით. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ფართოდაა გავრცელებული ავადმყოფებთან საკრავებზე დაკვრის პრაქტიკა, განსაკუთრებით, ინფექციური დაავადებების დროს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ხალხში გავრცელებული რწმენა-წარმოდგენების თანახმად მთელი რიგი დაავადებების გამომწვევეები ავი სულები არიან. ავადმყოფთან დაკავშირებულ რიტუალებში სიმებიანი საკრავების გამოყენებას ენიჭება უპირატესობა. აქ, ძირითადად, განხილულია ინფექციურ დაავადებებთან დაკავშირებულ რიტუალებში საკრავების გამოყენება, ასევე – მომავლად ადამიანთან საკრავზე დაკვრის ტრადიცია.

9. მუსიკალური საკრავები მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ რიტუალებში. საკრავის როლი განსაკუთრებულია მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ რიტუალებში. ხალხური რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, მუსიკალურ საკრავებს გარდაცვლილთა სულებთან ურთიერთობა შეუძლია. მეტიც – ჭიანურს ადამიანის გარდაცვალების წინასწარმეტყველებაც შეეძლო. ზოგიერთი მუსიკალური საკრავი, მაგალითად, ჩანგი, ჭუნირი და ჭიანური მწუხარების, ჭირის საკრავებად არიან მიჩნეულნი. ჩანგზე უკრავდნენ მწუხარების შესამსუბუქებლად. სვანეთში მიღებული იყო დასაფლავების წინა ღამეს მიცვალებულისათვის ჭუნირზე დაკვრა და სიმღერა, – მიცვალებულისა და მისი გვარის სხვა მიცვალებულების მოგონება. დასტურდება მიცვალებულის დატირების დროს ჭიანურზე დაკვრაც. აქ მოყვანილია ცნობა, რომლის მიხედვითაც სამეგრელოში მიცვალებულის დატირების რიტუალში გარდაცვლილი მეჩონგურის პირით ემშვიდობება ახლობლებს: „ჩონგურიშ მოყონაფა“ („ჩონგურის მოყვანა“) დაკრძალვის დღეს იმართებოდა; მეჩონგურე წინასწარ მოკრებილი ცნობების მიხედვით, უპირატესად, ლექსად იტყვის ან დაამღერებს ჩონგურზე გარდაცვლილის თავს გადახდენილ ამბავს. განსაკუთრებულია ჭუნირისა და ჩანგის ფუნქცია სვანეთში, მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული „ლიფანალის“ დღეობაში, სადაც ერთი კვირის განმავლობაში ოჯახები თავიანთი მიცვალებულის სულებს მასპინძლობენ. აქ შეჯამებულია „სულის დაჭერის“ სვანურ რიტუალში ჭუნირის/ჭიანურის ფუნქციაზე არსებული არაერთი გადმოცემა. მიცვალებულის „სულის დაჭერის“ წესში დადასტურებულია ჭუნირის, ჩანგისა და ჩონგურის დაკვრა.

10. საკრავთა სოციალური ფუნქციის აღქმა თანამედროვეობაში. დღეისათვის, საკრავთა გამოყენებას რიტუალებში არა იმდენად მაგიური დანიშნულება აქვთ, რამდენადაც – კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა. თანამედროვე სამყაროში, გლობალიზაციისა და კოსმოპოლიტიზმის ეპოქაში, ტრადიციული კულტურებისა და მათთვის დამახასიათებელი სიმბოლიკის ცვლილება ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. ქართული საზოგადოება სხვადასხვა გზით ცდილობს საკრავების მნიშვნელობის აღიარებას და ტრადიციულ მემკვიდრეობაზე ზრუნვას. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში უკვე შეტანილია ზოგიერთი საკრავის დამზადების ტექნოლოგია, (ჭუნირი, ჩანგი), მესტირეობის ტრადიცია (გუდასტვირი, ჭიბონი), სხვადასხვა პროექტის ფარგლებში ხდება სახელოსნოების შექმნა/გაძლიერება.

III თავი

ქართული ინსტრუმენტარიუმის

ორგანოლოგიური და საშემსრულებლო ასპექტები

III თავი ეთმობა ტრადიციული საკრავების ორგანოლოგიურ და საშემსრულებლო საკითხებს. იგი ორ ქვეთავს მოიცავს. I ქვეთავში „ქართული ინსტრუმენტარიუმის ორგანოლოგიური ასპექტები“ მემბრანოფონების, ქოდროფონების, აეროფონების ჯგუფებიდან თითოეული საკრავი განხილულია მსოფლიოში გავრცელებული ანალოგიური ჯგუფისა და ტიპის საკრავების კონტექსტში; ასევე, აქ არის ინფორმაცია საკრავთა კონსტრუქციის, მასალის, სიმებისა და მილების შესახებ და სხვ.

1. მემბრანოფონები

დღეისათვის, ქართული ტრადიციული ინსტრუმენტარიუმის მემბრანოფონების ჯგუფიდან გამოიყენება *დიპლიპიტო*, *დოლი* და *დაირა*. მემბრანოფონებში ხმის წარმომქმნელი ელემენტი არის დაჭიმული მემბრანა. ჰორნბოსტელისა და ზაქსის საკლასიფიკაციო სისტემით, ისინი ოთხი კატეგორიისაა: დასარტყამი, გამოსაკრავი, ფრიქციული (ბგერათწარმოება ხდება ხახუნით) და „მომღერალი“ (ხმა გამოიცემა ვიბრირებით). საქართველოში გავრცელებული სამივე ტიპი პირველ ჯგუფს მიეკუთვნება. H-S კლასიფიკაციის მიხედვით, დასარტყამი ჯგუფი, თავის მხრივ, სამ ქვეჯგუფად იყოფა: 1. ჭურჭლისებრი (211.1 Vessel drums – *დიპლიპიტო*), 2. მილისებრი (211.2 Tubular drums – *დოლი*) და 3. მოჩარჩოებული (211.3 Frame drums – *დაირა*)

კორპუსის ფორმებით. განასხვავებენ მემბრანოფონების რვა გარეგნულ ფორმასაც: a) *kettledrum*, b) *tubular or cylindrical*, c) *barrel*, d) *conical*, e) *double-conical*, f) *bourglass*, g) *goblet*, h) *frame*, რომელთაგან, საქართველოში გავრცელებულია სამი ფორმა:

1. a) *kettledrum* – ჭურჭლისებური ფორმა – **დიპლიპიტო**
2. b) *tubular or cylindrical* – ცილინდრული ფორმა – **დოლი**
3. h) *frame* – მოჩარჩოებული ფორმა – **დაირა**

დიპლიპიტო დღეს ხალხური ყოფაში აღარ გვხვდება, დანამდვილებით ვერ ვიტყვით – როდიდან. ჩვენ ხელთ არსებული ფოტომასალიდან ირკვევა, რომ „საზანდარში“ აქტიურად გამოიყენებოდა, ხოლო სოფლურ ფოლკლორში მისი გამოყენების შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ბერიკაობა-ყენობის კონტექსტში გვხვდება. დიპლიპიტო, მართლაც, ფართოდ იყო დამკვიდრებული აღმოსავლური ყაიდის, „მასაზანდრეთა“ საკრავების ჯგუფში. შემდგომ დამკვიდრდა მრავალრიცხოვანი საკრავებით დაკომპლექტებულ ქართულ ხალხურ საკრავთა ორკესტრში და, მოგვიანებით, სხვადასხვა შემადგენლობის ინსტრუმენტულ ანსამბლებში, რომლებშიც კვლავ კირილე ვაშაკიძის მიერ ტრანსფორმირებული საკრავები გამოიყენებოდა. აღსანიშნავია, რომ ე.წ. „ხალხურ“ საკრავთა თანამედროვე ანსამბლებში ქვაბის ფორმის დიპლიპიტო თანამედროვე, *გობლეტის* ტიპის დასარტყამებით ჩანაცვლდა, რომელზეც ჯოხების ნაცვლად ხელებით უკრავენ. საკრავთა აღწერებიდან და ფოტომასალიდან ჩანს, რომ დიპლიპიტოს ძველებური ვარიანტი ორ ქილას აერთიანებდა, როგორც ეს არის არაყიშვილთან. საკრავების მუზეუმში დაცული ოთხი ეგზემპლარიდან სამი ორქილიანია, ხოლო მეოთხე – ოთხქილიანი, რომელიც, შედარებით, გვიანდელია. ხალხურ საკრავთა ორკესტრებში უკვე ვხედავთ ხუთი და მეტი რაოდენობის ქილებს.

დიპლიპიტოსთან შედარებით, ქართულ ყოფაში აქტიურადაა შენარჩუნებული **დაირა** და, განსაკუთრებით, **დოლი**. დოლი გამოიყენება ცეკვის სათანხლებოდ (იშვიათად – სიმღერისაც), როგორც ყოფაში, ისე – სასცენო შესრულებაში, ხოლო დაირა შემორჩენილია რაჭაში და წარმოჩენილია ფოლკლორის მეორეული შემსრულებელი ანსამბლების რეპერტუარში.

2. ქორდოფონები

ქართული ინსტრუმენტარიუმის ქორდოფონების ჯგუფიდან ცოცხალ პრაქტიკაში არსებობს **ლუთისა** (ხემიანი: *ჭუნირი/ჭიანური*, ჩამოსაკრავი: *ჩონგური, ფანდური*) და

არფის (*ჩანგი*) ტიპის მუსიკალური ინსტრუმენტები, ხოლო არქეოლოგიურ გათხრებში აღმოჩენილია **ლირის** და კედლის მხატვრობის ნიმუშებში დაფიქსირებულია **ციტრის** ტიპის საკრავებიც.

საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით ქართული ლუთის ტიპის საკრავები იყოფიან ოთხ ჯგუფად: 1. კონსტრუქცია, სადაც საკრავის ტარი დიამეტრულად გადის საკრავის ორივე მხრიდან დახშულ, ყუთის ფორმის ბანჯოს მსგავს კორპუსში, 2. კონსტრუქცია, სადაც საკრავის ტარი დიამეტრულად გადის საკრავის ცალი მხრიდან დახშულ კორპუსში, 3. ტარიანი ლუთი, რომლის კორპუსის ქვედა მხარე მომრგვალებულია და 4. ტარიანი ლუთი, რომლის კორპუსის ქვედა მხარე ბრტყელია; ამათგან, საკრავის ტარი დიამეტრულად მხოლოდ ჭუნირსა და ჭიანურში გადის, ხოლო მესამე ვერსია საერთოა ჭიანურის, ფანდურისა და ჩონგურისათვის. საკრავთა კლასიფიკაციის სისტემაში ყურადღება გამახვილებულია კონსტრუქციაზე, ხოლო საშემსრულებლო ხერხი, ხემით ხდება ბგერათწარმოება თუ თითებით, აღნიშნულია თანდართულ სუფიქსში.

ქართულ ინსტრუმენტარიუმში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საკრავია **ფანდური**. უნდა აღინიშნოს, რომ საკრავი საქართველოში, მისი ფიზიკური თუ მუსიკალური თავისებურებებიდან გამომდინარე, უფრო გავრცელებულია, ვიდრე – ჩონგური. საქართველოში, ზოგჯერ, ერთსა და იმავე კუთხეში გავრცელებული ფანდურები განსხვავდება ფორმის, ზომის, სიმებისა და საქცევთა რაოდენობის მიხედვით. მეტ-ნაკლებად განსხვავებულია საშემსრულებლო ხერხებიც. კუთხეების მიხედვით ფანდურთა შორის საერთო და განმასხვავებელი ნიშნების აღწერისთვის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმსა და საქართველოს ხელოვნების სასახლის ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმის ექსპონატების მონაცემების შეჯერება ხაზს უსვამს საკრავის ხალხური ვარიანტების კუნსტრუქციათა მრავალფეროვნებას. მკვლევართა მიერ საკრავის კონსტრუქციის აღწერისას გამოყენებულია სხვადასხვა ტერმინი: „გრძელი“, „მოკლე“, „მოგრძო-მომრგვალო“, „მრგვალ-მოგრძო“, „გრძელი და ვიწრო“ ჩანა, „ნიჩბის მაგვარი“/„ნიჩბისებრი“, „მსხლისებრი, წახნაგოვანი“, „კვერცხისებრი“, „მშვილდისებრი“, „ნავისებრი“, „ნიჩბისებრი“ და სხვ. ამრიგად, სამეცნიერო ლიტერატურაში საჭიროა ზოგადი რამდენიმე ტერმინის დამკვიდრება, რომელიც კონსტრუქციის ძირითად ტიპს

მოიაზრებს და თავსებადი იქნება ინგლისურენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ მიდგომებთანაც. შეუძლებელია ფორმის აღმნიშვნელ ტერმინოლოგიაში აისახოს თითო ძირითადი ფორმის დეტალური განსხვავებები. ჩემი აზრით, ტერმინი „მსხლისებრი“ შეგვიძლია გამოვიყენოთ მხოლოდ მანდოლინას ფორმის საკრავების აღწერისას, ყველა სხვა დანარჩენი ფორმის აღმნიშვნელად დავტოვოთ ტერმინი „ნავისებრი“, რომელშიც ორ ძირითად მიმართულებას გამოვყოფთ: „კუთხოვანს“ და „მომრგვალებული კუთხეებით“. „ნავისებრი კუთხოვანი“ ფორმა გააერთიანებს ხევისურულ, ფშაურ და სხვა ნავისებრ ისეთ ფორმებს, სადაც ვიზუალში კუთხოვანი ფორმებია გამოყენებული, ხოლო ყველა სხვა დანარჩენი ფორმებისათვის ოპტიმალური იქნება „ნავისებრი ფორმა მომრგვალებული კუთხეებით“.

3. აეროფონები

ქართულ ინსტრუმენტარიუმში აეროფონების ჯგუფის საკრავებიდან წარმოდგენილია მრავალღეროიანი სალამურის (*ლარჭემი/სოინარი*), ფლეიტის (*ენიანი/უნო სალამური*), ენაკიანი (*უგუდო ჭიბონი, პილილი, ჭიბონი/გუდასტვირი*) ქვეჯგუფები. გარდა ამისა, XIX ს.-დან შემოდის აკორდეონი – თავისუფალ ენაკთა მქონე ჯგუფის საკრავი, რომლის რეზონატორშიც ჰაერის ნაკადი პერიოდულად წყდება. როგორც საერთაშორისო კლასიფიკაციის სისტემასა და გროუვის ლექსიკონის მიხედვით ვაზუსტებ, „აკორდეონი“ ზოგადი ტერმინია და ესადაგება „ქართულ გარმონად“ წოდებულ საკრავის ყველა სახეობას, ხოლო ტერმინი *გარმონი* რუსული ენის გავლენით არის დამკვიდრებული. ასევეა შესული სამეცნიერო ლიტერატურაშიც. ქართულ სამეტყველო ენაში ტერმინი „აკორდეონი“ დიდი ზომის ქრომატული აკორდეონის აღმნიშვნელად გამოიყენება, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში, მნიშვნელოვანია სწორი ტერმინოლოგიის დამკვიდრება. არ ვეთანხმები ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ პრაქტიკას, რომელიც განასხვავებს გარმონის/ჰარმონიკას, აკორდეონისა და ბაიანის ტიპებს; ამდენად, დავაზუსტებ, რომ ნაშრომში ყველგან, სადაც ვიყენებ საკრავის ჯგუფის აღმნიშვნელ ზოგად ტერმინს „აკორდეონი“, არ იგულისხმება საქართველოში დამკვიდრებული მისი ერთ-ერთი რომელიმე კონკრეტული სახეობა.

საგანგებოდ უნდა აღნიშნოს, რომ დისერტაციის მნიშვნელოვანი, მათ შორის, III თავის ნაწილი ეთმობა ყოფიდან უკვე გამქრალი ქართული მრავალღეროიანი საკრავის, ლარჭემის/სოინარის კვლევას, არსებული წყაროების საფუძველზე მისი ერგოლოგიური, ეთნოგრაფიული და მუსიკალური მახასიათებლების შესწავლასა და 1950-იან წლებში ჩაწერილი საექსპედიციო აუდიო//სანოტო მასალების საფუძვლიანად გამოკვლევას. მმიუხედავა იმისა, რომ ლარჭემ-სოინარის შესახებ არსებობს სტემენკო-კუფტინას ფუნდამენტური შრომა, კვლევამ გამოავლინა არა ერთი მნიშვნელოვანი სიახლე.

II ქვეთავში „ქართული ინსტრუმენტარიუმის საშემსრულებლო ასპექტები და ნოტირების პრობლემა“ განხილულია საკრავთა საშემსრულებლო ასპექტები და ნოტირების პრობლემა. საკრავებზე საშემსრულებლო თავისებურებებს განსაზღვრავს საკრავის კონსტრუქცია, წყობა, სიმთა რაოდენობა, პოზიცია და შესაბამისი დიაპაზონი, აკორდიკა, აპლიკატურა და სხვ. საკუთრივ მუსიკალურ შესაძლებლობებში ასახულია მუსიკალურ-დიალექტოლოგიური და ზოგადქართული სამუსიკო კანონზომიერებები. აღწერილია სიმებიანი საკრავებზე შემსრულებლობისას ცალკეული ხელის თითების ფუნქცია და საშემსრულებლო ხერხები, ხემის მოხმარებისას შტრიხების სისტემა, აპლიკაცია, რომელსაც საკრავის ჟღერადობის ხარისხზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს, გამოვლენილია იშვიათი ხერხები, რომლებიც ტრადიციულ შემსრულებლობაში არსებობს, თუმცა საგანგებო ყურადღება არ დათმობია. ჩასაბერ საკრავთაგან აღსანიშნავია ჭიბონის მიღებზე თვლების განლაგების ვარიანტები, რაც აისახება შემსრულებლობაზე. გამოვლენილია საკრავის დაკვრის პროცესში თვლებზე თითების დაჭერის სხვადასხვა სპეციფიკით ინტონაციების ცვლის პრაქტიკა. აუდიოჩანაწერების შესწავლის შედეგად დადგენილია ლარჭემზე სამხმიანობის ეფექტის მიღების საშემსრულებლო ხერხი. შესწავლილია თითოეული საკრავის აწყობის ტექნიკა. გამოქვეყნებულ და ხელნაწერ წყაროებში (ნოტირებულ მასალაში) წარმოდგენილ ნიმუშებში, ფაქტობრივად, საშემსრულებლო ხერხები მითითებული არ არის. ნოტირებული ნიმუში უნდა წარმოადგენდეს არა მხოლოდ სანოტო ტექსტს, არამედ უნდა შეიცავდეს ინფორმაციას საშემსრულებლო ხერხების შესახებაც, რომელსაც მოცემული ნიმუშის ტრადიციული შემსრულებელი იყენებდა და დაინტერესებული შემსრულებელი გამოიყენებს; ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს თავად დასაკრავის ჟღერადობას, ინტონირებას. დისერტაციის ფორმატისა და საკვლევის

მასალის მოცულობის გათვალისწინებით, მაქსიმალურად არის ხაზგასმული მნიშვნელოვანი ასპექტები და პრობლემათა გადასაჭრელად გადადგმულია გარკვეული ნაბიჯები.

IV თავი

ქართული ინსტრუმენტული დასაკრავების

მუსიკოლოგიური ასპექტები

დისერტაციის IV თავი ქართული ინსტრუმენტული მუსიკის მუსიკოლოგიურ ანალიზს ეთმობა. ინსტრუმენტული დასაკრავების მუსიკოლოგიურმა ანალიზმა დაადასტურა, რომ იგი ემყარება ზოგადქართულ მუსიკალურ კანონზომიერებებს და მის თავისებურებებს განსაზღვრავს ცალკეული საკრავების კონსტრუქცია, ასევე, გავრცელების არეალი. შესაბამისად, წყობები და საკრავთა საშემსრულებლო შესაძლებლობები. მეოთხე თავი სწორედ ამ თავისებურებების გამორკვევას ეთმობა, რაც განსხვავებულია სხვადასხვა ჯგუფისა და ჯგუფის შიგნით ცალკეული ინსტრუმენტის დასაკრავებში.

I ქვეთავში განხილულია შესრულების ფორმები და თავად მუსიკალური ფორმა. ქართულ ტრადიციულ ფოლკლორში საკრავის თანხლებიან ნიმუშებში სასიმღერო ხმების მიხედვით შემსრულებელთა რაოდენობის გადანაწილების კანონზომიერება იგივეა, რაც, ზოგადად, სასიმღერო ფოლკლორში: ზედა ხმებს ასრულებს თითო შემსრულებელი, ბანს – ერთი ან რამდენიმე. აღსანიშნავია, რომ საკრავის თანხლებიან ნიმუშებში არ ვხვდებით ერთხმიანი სიმღერის უნისონურ შესრულებას. შესრულების ფორმის მხრივ ქართული საკრავისთანხლებიანი ნიმუშები მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. იგი, ძირითადად, დაკავშირებულია კუპლეტის მუსიკალურ ფორმასთან.

შესრულების ფორმათაგან არის მსჯელობა სოლო და საანსამბლო შესრულებაზე, ასევე, საკრავთა ანსამბლებზე. სოლო და საკრავისთანხლებიანი ნიმუშები, ძირითადად, წარმოდგენილია ციკლური და კუპლეტური ფორმებით. აქ ყურადღებაა გამახვილებული ინსტრუმენტული შესავლის სტრუქტურაზე, რომელიც შემსრულებელს ინფორმაციას აწვდის რეგისტრის, რიტმის, ხასიათის შესახებ.

გამოყოფილია საფანდურო, საჭიბონე და აკორდეონზე დასაკრავებში სოლო შემსრულებლების მიერ მღერისა და საკრავზე შესრულების მონაცვლეობა. შესაძლებელია, ეს დაკავშირებული იყოს სიტყვიერი ტექსტის ხაზგასმასთან – როცა

შემსრულებელი უპირატესობას ანიჭებს ტექსტის წარმოთქმას და მსმენელისათვის მიწოდებას, იმ მონაკვეთებში წყვეტს საკრავზე დაკვრას და მთელი ყურადღება სიტყვიერ ტექსტზე გადააქვს.

II ქვეთავი მოცულობითია და მისი ძირითადი ნაწილი ეხება საკრავების წყობებს. კვლევა რამდენიმე მიმართულებით არის წარმოდგენილი:

1. შესწავლილია ქართულ ტრადიციულ საკრავთა წყობების შესახებ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ცნობები;
2. მასალის არსებობის შემთხვევაში, სამეცნიერო ლიტერატურაში დაფიქსირებული წყობები გადამოწმებულია მათსავე აუდიო/სანოტო წყაროებში, რაც პირველი დონეა მათში დაფიქსირებული უზუსტობების გამოსავლენად;
3. შესწავლილია ჩვენ ხელთ არსებული აუდიო/სანოტო წყაროები და მიღებული შედეგები განზოგადებულია მანამდე არსებულ ცნობებთან ერთად;
4. კვლევისას გამოყენებულია კომპიუტერული ანალიზის მეთოდი, რამაც შესაძლებელი გახადა ისეთი რთული წყობების იდენტიფიცირება, რისი გაგებაც სმენითი შთაბეჭდილებით რთულია;
5. წყობების დადგენის საფუძველზე ხელახლა გაიშიფრა ნიმუშები, რომლებიც მუსიკოლოგიური ანალიზისათვის იქნებოდა უფრო ზუსტი წყარო, ვიდრე მანამდე არსებული სანოტო ნიმუშები;
6. წყობების დადგენის პროცესში გათვალისწინებულია შემსრულებელთა ფაქტორი და შეჯამებულია სხვადასხვა წლის საექსპედიციო ჩანაწერებში ერთი და იმავე შემსრულებლის მიერ დაკრული ნიმუშები.

წყობების შესწავლის პარალელურად არის მსჯელობა კილოსა და ბგერათრიგის შესახებ, და მათთან საკრავების სიმებისა თუ თვლების მიერ გამოცემული ბგერების შესაბამისობაზე. წყობების ანალიზს ეფუძნება ჩანგის სიმთა რაოდენობის საკითხის გამოკვლევა, რაც იწყება დისერტაციის მესამე თავში.

აღნიშნულია, რომ ტერმინში „წყობა“ ნაგულისხმევია სიმებიანი საკრავების ღია სიმების ან ჩასაბერი საკრავების ღია თვლების მიერ გამოცემულ ბგერათა ინტერვალურ თანაფარდობა, ხოლო კილოსა და ბგერათრიგის შემთხვევაში გაზიარებულია

ქლენტიკისეული განმარტება: ბგერათრიგი კილოს ტონური შემადგენლობაა; კილო არის სისტემა, აღმოცენებული ბგერათა ან თანხმოვანებათა განსაზღვრულ ფუნქციონალურ ურთიერთობაზე.

აღნიშნულია, რომ ქართული მრავალღეროიანი სალამურის წყობის საკითხების შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ყოფიდან გამქრალი საკრავის აღდგენის შესაძლებლობებს სწორედ მისი მუსიკალური კანონზომიერებების დადგენა ქმნის. ხელმისაწვდომი ყველა საექსპედიციო აუდიო და სანოტო მასალის, მკვლევართა ნაშრომებისა და მოსაზრებების შედეგად ზუსტდება, რომ ლარჭემსა და სოინარზე დასაკრავებს აქვს წყობის აგების გარკვეული პრინციპები, რომელიც დარღვეულია როსებაშვილის მიერ ჩაწერილ მასალაში საკრავთა ტექნიკური პრობლემების გამო; აგრეთვე, ყურადღება გამახვილებულია გამონაკლისის სახით ცალკეული შემსრულებლის სახელობის წყობების არსებობაზე.

დადასტურებულია ქართული მრავალღეროიანი სალამურის კონსტრუქციის გამორჩეულობა და მოძიებულია კონსტრუირების პრინციპის მხრივ მისი ანალოგი – ეკვადორული რონდადორი.

III ქვეთავი ეთმობა აკორდიკის, კადანსებისა და ფაქტურის საკითხებს. აქ არის გამოვლენილი თითოეული საკრავის ბანის ყველა შესაძლო საფეხურზე დაფუძნებული თანაბგერადობების ბანკი. აღწერილია ფაქტურის ძირითადი ტიპები: აკორდული და ჰომოფონიურ-აკორდული.

ქართული საკრავიერი მუსიკის აკორდიკა და ბანის საფეხურების კომბინაციები ემყარება ზოგადქართულ მუსიკალურ კანონზომიერებებს, ცალკეული საკრავების წყობებსა და საკრავთა საშემსრულებლო შესაძლებლობებს.

ჟუნირზე დასაკრავებში საკმაოდ განვითარებულია ბანის საფეხურების დიაპაზონი. შედარებით ნაკლებად განვითარებულია – ჩანგისა, ჟუნირთან შედარებით შეზღუდულია ჭიანურის შესაძლებლობები. საჩონგურო რეპერტუარში წყობების მიხედვით განსხვავდება დასაკრავებში ბანის საფეხურების მიმდევრობა. ერთი სიმღერის ფარგლებში ბანის მინიმუმ ორი (III წყობაში) და მაქსიმუმ ოთხი (I წყობაში) საფეხური შეიძლება იყოს ათვისებული. რაც შეეხება საფანდურო დასაკრავებს, მისთვის დამახასიათებელი ბანის საფეხურების მიმდევრობა დამოკიდებულია დასაკრავის კილოურ მიხრილობასა და კილოს ცენტრზე – ყველაზე დაბალ სიმზეა თუ მეორე

სიმზე. ძირითადად, დასაკრავების უმეტესობას მინორული მიხრილობა აქვს და კილოს ცენტრია შუა სიმის მიერ გამოცემული ბგერა. შესაბამისად, ასეთი ნიმუშებისთვის დამახასიათებელია I VII I საფეხურების მიმდევრობა. ფანდურზე ტრადიციული რეპერტუარი იკვრება პირველ, მეორე და მესამე პოზიციებში. შესაბამისად, პირველ პოზიციაში ბანში შეიძლება ათვისებულ იქნას ორი საფეხური, მეორე პოზიციაში – სამი, ხოლო მესამეში – ოთხი.

აკორდეონის ქართულ სახეობებზე, ფაქტობრივად, ათვისებულია ყველა ის თანაბგერადობა და ბანის საფეხური, რაც გვხვდება შესაბამის სასიმღერო პარტიებში.

სოინარ-ლარჭემის წყობა, კონსტრუქცია (შუაში მოქცეული ბანის მიღები) და შესრულების წესი (ერთდროულად ორი მილის ჩაბერვა) თავისთავად განსაზღვრავს მასზე შესასრულებელი ნიმუშების ფაქტურას, კერძოდ, მასზე ყოველთვის ორ მოსაზღვრე ტერციას უკრავენ, ანუ სულ – ოთხ ტერციას. ჰარმონიული ვერტიკალი ძირითადად ტერციების მოძრაობას ეფუძნება. არ გვხვდება სეკუნდები.

გუდასტვირსა და ჭიბონზე დასაკრავებს მეტ-ნაკლებად განსხვავებული ფაქტურა, ბანის საფეხურების მიმდევრობა, აკორდიკა აქვს, რაც დაკავშირებულია განსხვავებულ მუსიკალურ დასაკრავებსა და საშემსრულებლო ხერხებთან.

გუდასტვირზე საბანე ბგერებიდან ოთხივე ათვისებულია. გუდასტვირზე დასაკრავების ფაქტურა ორხმიანია და დაბალი ხმა ყოველთვის ბანს შეესაბამება. ჭიბონზე დასაკრავებში ძირითადად I, II, VII და, იშვიათად, III საფეხურები გვხვდება.

საკრავისთანხლებიანი ნიმუშების მრავალფეროვნებასა და ორიგინალობას განსაზღვრავს ინსტრუმენტული თანხლების ფაქტურა, ვინაიდან ყველაზე ნათლად სწორედ ამ უკანასკნელში ვლინდება თანხლების ჰანგის თავისებურება.

სიმებიანი საკრავების ჯგუფში თანხლების რამდენიმე ტიპი გვხვდება:

1. აკორდული ფაქტურის მქონე, როცა თანხლება აგებულია ორი ან რამდენიმე აკორდის მრავალჯერად გამეორებაზე, დაშლილი აკორდების რიტმულ ფიგურაციებზე ან გაბმულ თანაბგერადობებზე, რომლებიც ჰარმონიულ საფუძველს და ფონს ქმნიან. ჩანგზე იშვიათად გვხვდება სამი სიმის ერთდროულად გამოკვრა;

2. საკრავის პარტიას გააჩნია მელოდიკა, რომელიც I. ზუსტად იმეორებს სასიმღერო პარტიის ძირითად ჰანგს, აგებულია მელოდიურ საქცევებზე და პირიქით, II – კონტრასტულია.

საკრავისთანხლებიანი სასიმღერო ნიმუშების სამუსიკო კანონზომიერებების დადგენისას აუცილებელია განვიხილოთ მასში ასახული პოლიჰარმონიული მოვლენები. ქართული ტრადიციული მუსიკისათვის დამახასიათებელი კანონზომიერებების ფარგლებში და ცალკეული საკრავის სპეციფიკის გათვალისწინებით, პოლიჰარმონიაზე ლაპარაკი შესაძლებელია, სადაც საკრავის თანხლებას, სულ ცოტა, ორხმიანი სიმღერა ახლავს თან. პოლიჰარმონია გამოვლენილია აკორდიკისა და მელიოდიკის დონეზე.

IV ქვეთავში არის მსჯელობა ინსტრუმენტულ დასაკრავებში გამოვლენილი მრავალხმიანობის ტიპების შესახებ. აქ გამოყოფილია ბურდონული, ოსტინატური, სინქრონული (კონტრასტულ-პარალელური) ტიპები. მრავალხმიანი აზროვნების მკაფიო დასტურად გამოიკვეთა სამხმიანი ვოკალური ნიმუშების ზუსტი ინსტრუმენტული ტრანსკრიფციების შექმნა, ორსიმინი საკრავის თანხლებისა და სოლო სასიმღერო პარტიის სინქრონში სამხმიანობის შექმნა, ერთხმიანი სალამურისა და ფანდურის დასაკრავში ბანის საფეხურების გამოკვეთა, ორსიმინი ჭუნირის დასაკრავებში სამხმიანი ჟღერადობის ეფექტის მიღება, ლარქეზე სამი მილის ერთდროულად ჩაბერვა და სხვ.

მრავალხმიანი აზროვნება ვლინდება როგორც უშუალოდ მუსიკალურ მასალაში, ისე ტერმინოლოგიაში – შემსრულებელთა მხრიდან საკრავების სიმების, მილების სახელდებაში, რაც ცალკეული საკრავის განხილვის დროს იყო აღნიშნული. ქართულ ინსტრუმენტარიუმში სიმებიან საკრავთა ჯგუფის მუსიკა, ძირითადად, სათანხლებოა – ნაწილობრივ, ჩასაბერისაც (გუდასტვირი). როგორც წესი, ინსტრუმენტის თანხლებით ჰარმონიული საფუძვლის ხაზგასმა ხდება. შესაბამისად, ინსტრუმენტის პარტიის არსებობა თავისთავად წარმოადგენს შემსრულებლის მრავალხმიანად აზროვნების გამოხატვას. ეს საკითხი ფართოდ არის შესწავლილი ზუმბაძესთან (2008, 2021, 2022).

თანხლების ფაქტურის მიხედვით განვასხვავებთ ინსტრუმენტულ პარტიაში მრავალხმიანობის ტიპებსაც. შესაბამისად, საკრავთა თანხლებაში მრავალხმიანობის ტიპების გამორკვევისას, ინსტრუმენტულ თანხლებას ფაქტურის მიხედვით ორ ძირითად ნაწილადაა დაყოფილი:

I – აკორდული ფაქტურა, სადაც შესრულების ხერხი თითების ჩამოკვრა (ჩონგური, ფანდური), ხემის გასმით ბგერათწარმოება (ჭუნირი/ჭიანური), ან დაშლილი აკორდული ფიგურაციებია (ჩანგი, გუდასტვირი);

II – ჰომოფონურ-აკორდული – სათანხლებო პარტიაში იკვეთება ფონი და რელიეფი. ეს უკანასკნელი ეხება როგორც მკვეთრად დიფერენცირებული მელოდიისა და ბანის მქონე ნიმუშებს, ისე მრავალჯერ განმეორებად აკორდულ ფიგურაციებს, სადაც მელოდია ფარულად, მაგრამ მაინც არის წარმოდგენილი.

რაც შეეხება უენო და ენიანი სალამურების რეპერტუარს, საკრავის ტექნიკური შესაძლებლობიდან გამომდინარე მასზე დასაკრავის მხოლოდ მელოდია სრულდება, თუმცა შემსრულებლის მრავალხმიანი აზროვნება, რომელიც ქართული ტრადიციული სასიმღერო მუსიკის ზოგად პრინციპებს ეფუძნება, მაინც იკვეთება⁵. ეს ჩანს ფანდურისა და უენო სალამურის ანსამბლში, სადაც ფანდურის მიერ აჟღერებული ბანის საფეხურები – I VII I მუსიკალურად ესადაგება სალამურის დასაკრავებს.

მრავალხმიანობის ტიპი გვამღევს საინტერესო დასკვნის გაკეთებს შესაძლებლობას ქართულ მრავალღეროიან სალამურთან მიმართებაშიც. მსოფლიო ინსტრუმენტარიუმის კონტექსტში კვლევის საფუძველზე დადასტურდა, რომ ქართული მრავალღეროიანი სალამური, გარდა იმისა, რომ თავისი კონსტრუქციით უნიკალურია, გამორჩეულია მრავალხმიანი მუსიკის აჟღერების ტექნიკური შესაძლებლობითაც.

შედეგები და დასკვნები

- დისერტაციის პირველ თავში წარმოდგენილია ქართულ წერილობით წყაროებსა და თანამედროვეობაში გავრცელებული საკრავების აღმნიშვნელი ტერმინების ბაზა მრავალრიცხოვანი ცხრილების დანართის სახით, სადაც ტერმინები სრული ციტატებისა და წყაროს სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით არის წარმოდგენილი. კვლევის შედეგად გამოვლინდა ახალი წყაროები, სადაც მუსიკალური საკრავების აღმნიშვნელი ტერმინებია მოხსენიებული.
- დადგინდა ქართულ ყოფასა და ლიტერატურაში არსებული საკრავების აღმნიშვნელი ტერმინებიდან რომელია ორიგინალური და რომელი – უცხოური;

⁵ მრავალხმიანი აზროვნების ერთხმიანობაში გამოვლენას ეძღვნება ზუმბადის საგანგებო სტატიები.

დაზუსტდა ამ უკანასკნელთა რაობა გროვის ლექსიკონის მიხედვით, რამაც შესაძლებელი გახადა მათი პირველწყაროსეული მნიშვნელობის გარკვევა.

- შეივსო ბიბლიის ქართულ თარგმანებში მოხსენიებული საკრავების აღმნიშვნელ ტერმინთა ჩამონათვალი, გამოიკვეთა მათი ტრანსფორმაციის ქრონოლოგია; დადგინდა საკრავზე შემსრულებლობასთან, შემსრულებლებთან და საკრავის მასალასთან დაკავშირებული ტერმინები.
- გამოირკვა, რომ უცხოურ პირველწყაროთა და თარგმანთა მრავალფეროვნების გამო, შეუძლებელია ქართული თარგმანების პირველწყაროების დაზუსტება. ამდენად, ქართული ტერმინების უცხოურთან შესაბამისობის ძიება სხვადასხვაენოვან ხელნაწერებში – პირობითია.
- გამოირკვა, რომ ზოგჯერ, ქართველების მიერ თავისუფლად შესრულებულ თარგმანში მოხსენიებული საკრავების აღმნიშვნელი ტერმინები დედანში არ გვხვდება. როგორც ჩანს, ეს ტერმინები იმ პერიოდის საქართველოში გავრცელებული იყო.
- კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა პერიოდის უცხოენოვან ნაშრომში მოხსენიებული საკრავის ერთი და იგივე სახელი, შესაძლებელია, არ გულისხმობდეს ერთსა და იმავე საკრავს და პირიქით – სხვადასხვა ტერმინის ქვეშ, ხშირად, ერთი და იგივე საკრავი იგულისხმება. შესაბამისად, ქართული ტერმინებიც არ უნდა იქნეს ერთმნიშვნელოვნად გაგებული, როგორც ეს მიღებულია არსებულ ქართულ სამეცნიერო კვლევებში. ტერმინთა ამგვარი მრავალფეროვნება, განსხვავებული და ზოგჯერ, ურთიერთსაწინააღმდეგო მნიშვნელობები დამახასიათებელია არა მხოლოდ ქართული, არამედ, ზოგადად, მსოფლიოში გავრცელებული მუსიკალური საკრავების ტერმინებისათვის.
- როგორც კვლევამ აჩვენა, ზოგიერთი ტერმინი მუსიკალურ საკრავს საერთოდ არ აღნიშნავს, თუმცა ლექსიკონებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში მოხსენიებულია როგორც მუსიკალური საკრავის აღმნიშვნელი ტერმინი.
- დადგინდა, რომ ზაქს-ჰორნბოსტელის საერთაშორისო კლასიფიკაციისაგან განსხვავებით, რომელშიც აეროფონების ჯგუფი მოიცავს ფლეიტის, საყვირისა და ენაკიანი ტიპის საკრავებს, ქართულ პრაქტიკაში გამოკვეთილია ორი – საყვირისა და ფლეიტისებრ-ენაკიანი ჯგუფი.

- აღმოჩნდა, რომ დღემდე არც ერთი სამეცნიერო ნაშრომი, ენციკლოპედია თუ ლექსიკონი არ იძლევა სრულ ინფორმაციას მუსიკალური საკრავების ტერმინების შესახებ. რადგან, ამ თვალსაზრისით, არც წინამდებარე ნაშრომია ამომწურავი, სამომავლოდ აუცილებლად მიმაჩნია კვლევაში ენათმეცნიერებისა და სხვადასხვა ენის სპეციალისტების (სპარსული, არაბული, თურქული, ებრაული, ბერძნული, სომხური და სხვ.) ჩართულობით კიდევ მრავალი ბუნდოვანი საკითხის დაზუსტება.
- დისერტაციის მეორე თავში გამოკვლეულია ქართული ტრადიციული საკრავების სოციოკულტურული ასპექტები ზეპირსიტყვიერების სხვადასხვა ჟანრებისა და ეთნოგრაფიული ყოფის მაგალითზე. დანართის სახით წარმოდგენილია სრული ტექსტები ზეპირსიტყვიერებიდან (ლეგენდები, ზღაპრები, თქმულებები).
- გამოვლინდა, რომ ისტორიულად საკრავს ქართველები, სხვა ხალხების მსგავსად, განიხილავდნენ, როგორც ეროვნული იდენტობის, სოციალური ქცევის, ძლიერი სიმბოლური დატვირთვის მქონე ობიექტებს, რომლებიც კულტურული მეხსიერებით გადაეცემოდა თაობიდან თაობას და უზრუნველყოფდა ქართული კულტურის მემკვიდრეობითობას;
- კვლევამ დაადასტურა, რომ თანამედროვე საზოგადოებაში მნიშვნელოვნადაა შეცვლილი საკრავების სოციოკულტურული ფუნქცია, რაც განპირობებულია რადიკალური ცვლილებებით საზოგადოებრივი ცხოვრების წესში, ეკლესიის როლის გაძლიერებითა და გლობალიზაციისა და სხვა თანამდევი იდეოლოგიური პროცესების გავლენითა შეცვლილი მსოფლმხედველობით.
- თანამედროვე ყოფაში, წმინდა ფოლკლორულ ცხოვრებაში მონაწილეობასთან ერთად, საკრავებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირეს თანამედროვე მუსიკალურ ყოფაშიც (საავტორო სიმღერები, შოუ-ბიზნესი). საკრავებს აქვთ მკაფიოდ გამოხატული ეროვნული იდენტობისა და სოციალიზაციის ფუნქცია.
- ზეპირსიტყვიერებაში არ ვხვდებით ინფორმაციას უძველესი საკრავის – ქართული მრავალღეროიანი სალამურის შესახებ, ასევე, მწირია ინფორმაცია ქართული იდიოფონების შესახებ და არაფერია ნათქვამი მემბრანოფონებზე. არ გამოვრიცხავ, რომ მათ შესახებ ინფორმაცია უნდა არსებულიყო, თუმცა ჩაწერა ვერ მოხერხდა.

- მეორე თავში თავმოყრილია ინფორმაცია ქართული ინსტრუმენტარიუმის ყოფითი ფუნქციისა და როლის შესახებ, რამაც კიდევ უფრო თვალნათელი გახადა მათი გამოყენების მრავალფეროვნება. გამოიკვეთა ყოფის ცალკეულ ელემენტში საკრავთა სხვადასხვა ჯგუფების გამოყენების ინტენსივობა (მაგ., ლხინსა და საკულტო-რელიგიურ დღესასწაულებში თითქმის ყველა საკრავის ჩართულობა, საბავშვო, სამკურნალო, მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ რიტუალებში სიმებიანი საკრავების დომინირება, შრომისა და ნადირობის პროცესში ჩასაბერი საკრავების უპირატესობა და სხვ.).
- ზეპირსიტყვიერი ტექსტების შესწავლისას დადგინდა ის ძირითადი თემატიკა, რაც მასში მოხსენიებული საკრავების კონტექსტში გვხვდება. ესაა ინფორმაცია მათი წარმოშობის, ჯადოსნური ბუნებისა და კონკრეტული სოციალური ფუნქციის შესახებ.
- გამოიკვეთა, რომ აუცილებელია ზეპირსიტყვიერ მასალასა და მასთან დაკავშირებულ სამეცნიერო ლიტერატურაში მოხსენიებული ტერმინების კრიტიკული ანალიზი და საკრავთა შემდგომი დაგვარად იდენტიფიცირება, ვინაიდან, ზოგჯერ, ერთი ტერმინის ქვეშ სხვადასხვა საკრავი იგულისხმება (მაგ. *სტვირი*, *ჩონგური* და სხვ.). დასაბუთდა, რომ ზოგჯერ, მკვლევართა მიერ არასწორად ხდება წყაროში მოხსენიებული ტერმინის იდენტიფიცირება, რაც არასწორი დასკვნების საფუძველი გამხდარა.
- დადგინდა, რომ ქართული მითოლოგიური სიუჟეტები მსგავსია სხვადასხვა ქვეყნის მითოლოგიური გადმოცემებისა.
- გამოვლინდა, რომ ზეპირსიტყვიერების ჟანრებში, როგორცაა ლეგენდა, თქმულება, ზღაპარი, განსაკუთრებული პოპულარობით ქართული სიმებიანი და ჩასაბერი საკრავები სარგებლობენ, ხოლო დასარტყამი და თვითმჟღერი საკრავები, ფაქტობრივად, არ არის ნახსენები.
- კვლევამ გამოავლინა, რომ ზეპირსიტყვიერებასა და ეთნოგრაფიულ ყოფაში ქართული ინსტრუმენტარიუმის როგორც საერთო, ისე განსხვავებული ასპექტებია გამოვლენილი. ზეპირსიტყვიერებაში ასახული სიუჟეტების მიხედვით გამოვლენილი საკრავების საკრალური ბუნება, ჯადოსნური ძალა და სულებთან კავშირი კარგად ჩანს ცოცხალ ეთნოგრაფიულ ყოფაშიც.

- დისერტაციის მესამე თავში ქართული მემბრანოფონების, ქორდოფონებისა და აეროფონების ჯგუფის საკრავების დამახასიათებელი ძირითადი ორგანოლოგიური და საშემსრულებლო ასპექტების საფუძველზე დადგინდა თითოეული საკრავის ადგილი მსოფლიო ინსტრუმენტარიუმში. თითოეული ჯგუფისათვის გამოიკვეთა როგორც ჯგუფის მახასიათებლები, ისე ქართული საკრავების კონკრეტული საერთო ამ ჯგუფის საკრავებთან;
- განისაზღვრა ქართული საკრავების შესაბამისი საკლასიფიკაციო ინდექსები ჰორნბოსტელ-ზაქსის საერთაშორისო, განახლებული საკლასიფიკაციო სისტემის მიხედვით;
- კვლევამ დაადასტურა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მუსიკალური საკრავების უძველესი ეგზემპლარები მსოფლიოში გავრცელებული ანალოგიური საკრავების მსგავსია. ასევე, საქართველოში ძვ. წ. აღ. II ათასწლეულში აღმოჩენილი ორი ძვლის სალამური დღევანდელ ქართულ ყოფაში არსებული საკრავების მსგავსია;
- დადგინდა, რომ ბათუმის მუზეუმების გაერთიანების არქეოლოგიურ მუზეუმში დაცული უძველესი უენო სალამური (ძვ. წ. აღ. XV–XIV სს.) არის არა დელფინის ძვლის, როგორც მითითებულია ექსპონატის პასპორტში, არამედ ფრინველის ძვლისაგან დამზადებული;
- საქართველოში აღმოჩენილი ყაზბეგის განძის მესაკრავის ქანდაკების შესწავლისას დადგინდა, რომ აქ გამოსახულია ღირის ტიპის საკრავი, და არა – არფის ტიპისა, ხოლო ხაიშის განძის არტეფაქტი, რომელზეც ორი მილია გამოსახული, ბერძნული ავლოსის ტიპის საკრავია და არა მრავალღეროიანი სალამურისა, როგორც ეს იყო მიჩნეული ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. მოძიებული იქნა ლატალის X ს-ის ეკლესიის კარზე გამოსახული ლუთის ტიპის განსხვავებული, მსხლისებრი ფორმის უცხოური ანალოგი საკრავ რეზერვის სახით;
- საერთაშორისოდ აღიარებულ ორგანოლოგიურ ლიტერატურაზე დაყრდნობით დადგინდა, რომ ქართული აკორდეონის სახეობების აღმნიშვნელ ტერმინად ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული ტერმინი „გარმონი“ რუსული აკორდეონის კონკრეტული სახეობის აღმნიშვნელი ტერმინია და მისი სამეცნიერო ხასიათის ნაშრომებში გამოყენება მიზანშეწონილი არ არის;

- კვლევამ გამოავლინა ქართული მრავალფეროვანი სალამურის კონსტრუქციის უნიკალურობა მსოფლიო ინსტრუმენტარიუმში. რამდენადაც ეს საკრავი დღეს ყოფიდან გამქრალია, მისი სამომავლო აღდგენისთვის შესწავლილ იქნა ყველა არსებული მონაცემი. მათი შეჯერებით გამოვლინდა, გურულ სოინარსა და მეგრულ ლარჭემს შორის მსგავსება/განსხვავებები; დადგინდა მიღების კომბინაციები დასაკრავებში; დაზუსტდა მიღების სახელწოდებები; გაშიფრულ ნიმუშებში აისახა მრავალფეროვანი სალამურების სანოტო ჩანაწერებში მსოფლიოში გავრცელებული მიღების რიგითი ნომრების მითითების პრაქტიკა;
- დაჯგუფდა საკრავების შემსრულებლობისა და ნოტირების ძირითადი ხერხები, რამაც გამოავლინა საკრავთა საშემსრულებლო ტექნიკის მრავალფეროვნება, თუმცა არსებობს უნივერსალური ხერხებიც, რომელთაც ცალკეული შემსრულებელი ინდივიდუალურად იყენებს: შემოთავაზებულია უცხოური ანალოგების ნოტირებისას მიღებული სიმბოლოები.
- დისერტაციის IV თავში ქართული ინსტრუმენტული დასაკრავების მუსიკოლოგიური ანალიზის შედეგად დადგენილი შესრულებისა და მუსიკალურ ფორმათა მრავალფეროვნება ადასტურებს შემსრულებელთა თავისუფალ მიდგომას და გამოკვეთს გარკვეულ წესებს, რაც მეტ-ნაკლებად საერთოა მთლიანი ქართული ინსტრუმენტული მუსიკისათვის;
- გამოვლინდა, რომ სიმებიანი მუსიკალური საკრავების ძირითადი ფუნქცია სათანხლებოა და ნაკლები ხვედრითი წილი აქვს სოლო დასაკრავებს; ჩასაბერთაგან, აკორდეონის სხვადასხვა ქართულ სახეობასა და გუდასტვირის ტიპის ორივე საკრავზე მიღებულია როგორც სიმღერის თანხლების ფორმატი, ისე საკრავისა და სიმღერის პარტიების მონაცვლეობით შესრულება; შესრულებისა და მუსიკალური ფორმების მეტი მრავალფეროვნება გვხვდება მეორეულ შემსრულებლობაში;
- სოლო და საკრავისთანხლებიანი ნიმუშები, ძირითადად, წარმოდგენილია ციკლური და კუპლეტური ფორმებით. გამოიკვეთა კუპლეტები მისამღერით და მისამღერის გარეშე. სოლო ინსტრუმენტული დასაკრავების ფორმა ვარიაციული ციკლური ფორმაა. დასაკრავებში მუსიკალური მასალის დამუშავებისა და ვარიანტულობის ხარისხი დამოკიდებულია შემსრულებელთა ინტერპრეტაციაზე;

- დადასტურდა, რომ საკრავისთანხლებიანი სიმღერების სრულ უმრავლესობას აქვს ინსტრუმენტული შესავალი, რომელიც შემსრულებელს ინფორმაციას აწვდის რეგისტრის, რიტმის, ხასიათის შესახებ; კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ჭუნირზე, ჭიანურზე, ფანდურსა და ჩანგზე ერთი და იმავე წყობის ფარგლებში იკვრება სხვადასხვა მუსიკალური სტრუქტურის მქონე დასაკრავები, ხოლო ჩონგურზე გვხვდება წყობათა ყველაზე მეტი მრავალფეროვნება.
- ლარჭემსა და სოინარზე დასაკრავების ჩვენთვის ხელმისაწვდომი ყველა აუდიო და სანოტო ნიმუშების კვლევის, მათ შორის, კომპიუტერული ანალიზის საფუძველზე, დადგინდა, რომ სტემენკო-კუფტინას მიერ დაფიქსირებული წყობები და მათი აგების პრინციპი უნდა იყოს რეალურთან ყველაზე მიახლოებული და ეს წყობები დროთა განმავლობაში, საკრავის ტექნიკური დაზიანებისა და შესრულების ტრადიციის მივიწყების გამო გაქრა. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით, არსებული ნოტირებული ნიმუშები გაიშიფრა ხელახლა;
- კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სხვადასხვა ჯგუფის საკრავების წყობები ეყრდნობა ერთსა და იმავე ბგერათრიგს, რაც ტიპურია ქართული ვოკალური ტრადიციული მუსიკისათვის. ასევე, აკორდიკა და ბანის საფეხურების კომბინაციები ემყარება ზოგადქართულ მუსიკალურ კანონზომიერებებს, ცალკეული საკრავების წყობებსა და საკრავთა საშემსრულებლო შესაძლებლობებს;
- მუსიკალური დასაკრავების ფაქტურის ანალიზისას გამოიკვეთა აკორდული, ფიგურაციული და ბანის ფონის საფუძველზე გამოკვეთილი მელოდიის მქონე ფაქტურები;
- გამოვლინდა პოლიჰარმონია აკორდიკის, მელოდიკის, ბანის საფეხურების მიმდევრობისა და კადანსების დონეზე. დადგინდა, რომ ქართული ინსტრუმენტული მუსიკის პოლიჰარმონია იქმნება ვოკალური და საკრავიერი მუსიკის სრული ან ნაწილობრივი თანხვედრით;
- კვლევამ დაადასტურა, რომ ინსტრუმენტულ მუსიკაში ასახულია ქართული მრავალხმიანი მუსიკალური აზროვნების ძირითადი პრინციპები, რაც ცალკეული საკრავის პარტიებში გამოვლენილია მათი ტექნიკური შესაძლებლობებიდან და ინსტრუმენტული მუსიკის სპეციფიკიდან გამომდინარე;

- მსოფლიო ინსტრუმენტარიუმის კონტექსტში კვლევის საფუძველზე დადასტურდა, რომ ქართული მრავალღეროიანი სალამური თავისი კონსტრუქციით და მრავალხმიანი მუსიკის აჟღერების ტექნიკური შესაძლებლობით განსაკუთრებულია. მოიძებნა კონსტრუქციის აგების პრინციპით მისი მსგავსი ერთადერთი საკრავი – ეკვადორული რონდადორი, რომელზეც, ასევე, შესაძლებელია ინტერვალის გამოცემა ერთი ჩაბერვით;
- კვლევის შედეგები ადასტურებს ქართული ინსტრუმენტული მუსიკის ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ეთნიკური, საკულტო და, ზოგადად, კულტუროლოგიურ-ანთროპოლოგიური ასპექტების მნიშვნელობას ქართველთა ეთნოგენეზის, მუსიკალური აზროვნების განვითარების, ეროვნული თვითგამოხატვისა და იდენტობის კვლევის საქმეში.

დისერტაციის მთავარი დებულებები ასახულია:

შემდეგ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებსა და უცხოურ ლექსიკონში:

1. სტატიები ქართულ და საქართველოში გავრცელებულ საკრავებზე (განახლება და შევსება). The Grove Dictionary of Musical Instruments. Second edition. Ed.: Laurence Libin. Oxford University Press. 2014 (გროუვის მუსიკალური საკრავების ლექსიკონი. მეორე გამოცემა. ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2014);
2. „სვანური ჩანგი“. ელექტრონულ სამეცნიერო ჟურნალში: „მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია“, #1(13), გვ. 29–47. თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორია და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2016.
3. „Georgian *Changi*“. ჟურნალში: „Papers in Ethnology and Anthropology“, #27 (16), გვ. 85–94. Journal of the Serbian Ethnological and Anthropological Society, 2016.
4. „The Georgian 'Chonguri' String Instrument“. ICTM -ის საკრავების შემსწავლელი ჯგუფის კონფერენციების რეფერირებული სტატიების კრებულში: Studia Instrumentorum Musicae Popularis V (New Series, გვ. 383–398. The ICTM Study Group on Musical Instruments, MVWissenschaft, Münster, Germany, 2017.
5. „*Larchemi/Soinari* – Georgian Panpipe“. ჟურნალში: MUSICOLOGIST: an International Journal of Music Studies, №1, გვ. 1–43. Karadeniz Technical University State Conservatory, 2017.

6. „Georgian Panpipe (Larchemi/Soinari): Tradition and Innovation“. ელექტრონულ სამეცნიერო ჟურნალში: „მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია“. #1(17), გვ. 39–46. თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორია და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2018.
7. „საკრავების აღმნიშვნელი ტერმინები ბიბლიის ქართულ თარგმანებში“. ელექტრონულ სამეცნიერო ჟურნალში: „მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია“. #2(24). გვ. 59–82. თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორია და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2021.
8. „Georgian Folk Instruments and Instrumental Terminology in Old Georgian Translations of the Bible (9 – 19 Centuries)“. Cambridge University Press-ის გამოცემაში დასაბეჭდად. რედაქტორი: იოსებ ჟორდანიას.

შემდეგ საკონფერენციო თემებში:

1. „Georgian *Changi*“. 44th Annual Meeting of the American Musical Instrument Society – AMIS (აშშ, ბოსტონი, 3–7 ივნისი, 2015);
2. „Musical Instruments across Georgia; Issues of Cultural Identity“. CCCS Conference 2015 “Identity and Culture” (მაკედონია, სკოპიე, 3–5 სექტემბერი);
3. „ინეგოლის (თურქეთი) ქართველების წარსული და თანამედროვე მუსიკალური ყოფა“. აბდულა აკატთან თანაავტორობით. ტრადიციული მრავალხმიანობის VIII საერთაშორისო სიმპოზიუმი (საქართველო, თბილისი, 26–30 სექტემბერი, 2016);
4. „The Georgian „Chonguri“ String Instrument“. The 21th Symposium of the ICTM Study Group on Musical Instruments (ბოსნია და ჰერცეგოვინა, სარაევო, 5–8 აპრილი, 2017);
5. „Bone flutes in Georgia (15th–13th Century BC)“. *Music in the Stone Age: XV Symposium of the ICTM Study Group on Music Archaeology & Workshop of the European Music Archaeology Project (EMAP)* (სლოვენია, ლუბლიანა, 24–26 აგვისტო, 2017);
6. „Georgian Panpipe (Larchemi/Soinari): Tradition and Innovation“. XXXIII ESEM – GEORGIA Ethnomusicology in the 21st Century (საქართველო, თბილისი, 5–9 სექტემბერი, 2017);
7. „Musical instruments in Georgian museums – history and modern perspectives“. CIMCIM Conference: „Theory, Technology and Methods: Museums’ Interpretation of Musical Traditions“. China (Hubei Provincial Museum, Wuhan and Shanghai Oriental Musical Instruments Museum) (ჩინეთი, ვუჰანი, შანჰაი, 10–16 სექტემბერი, 2018);

8. „გენდერის საკითხი ქართულ ინსტრუმენტულ მუსიკაში“. ტრადიციული მრავალხმიანობის X საერთაშორისო სიმპოზიუმი (საქართველო, თბილისი [ონლაინ სიმპოზიუმი], 20–24 ოქტომბერი, 2020);

9. „Membranophones in Georgian Musical Culture“. ICTM Colloquium on Drums and Drum ensembles along the Great Silk Road, CHINA, 2020 (ჩინეთი, შანჰაი (ონლაინ კონფერენცია), 24–25 დეკემბერი, 2020).

10. „საკრავების აღმნიშვნელი ტერმინები ბიბლიის ქართულ თარგმანებში“. ახალგაზრდა ეთნომუსიკოლოგთა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართულება. კონფერენციის სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატალია ზუმბაძე (19 მაისი, 2021);

მუსიკალურ საკრავებთან დაკავშირებულ სხვა გამოცემებში:

1. „ქართული მრავალხმიანობა დასავლეთ თურქეთში“ (ქართულ, თურქულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე). თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, ქარადენიზის ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო კონსერვატორია. ვარშავა, 2018.

2. „საკრავების კატალოგი“ (ქართულ და ინგლისურ ენებზე). ქართული სიმღერისა და საკრავების მუზეუმი. სარედაქციო ჯგუფის წევრი ჯერემი მონტეგიუსა და ნინო კალანდაძე-მახარაძესთან ერთად. პროექტის კოორდინატორი. თბილისი, 2020.

სამეცნიერო კონფერენციებისა და ჟურნალებისათვის მომზადებულ სტატიებში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია საკრავების ორგანოლოგიურ და მუსიკოლოგიურ მხარეებზე. რაც შეეხება ტერმინოლოგიისა და საკრავების სოციოკულტურულ ასპექტებს, ძირითად საკითხებს გავდიოდი ჩემს უცხოელ და ქართველ კონსულტანტებთან – ჯერემი მონტეგიუსთან (+), ბრუნო ნეტლთან (+), ჰელენ რისთან, ჰენრი ჯონსონთან, ბო ლავერგერენტან, ულრიხ მორგერნშტერნთან, ედგარდო სივალეროსთან, რუტა სიმონიტესთან, ტარიელ ფუტკარაძესთან (+), ზურაბ კიკნაძესთან, ელენე გოგიაშვილთან, ნუგზარ ანთელავასთან, ქეთევან მათიაშვილთან, მადონა ჩამგელიანთან და სხვ.

V. Sarajishvili Tbilisi State Conservatoire

Copyright of the manuscript

Nino Razmadze

**Georgian Folk Instruments
(Some Historical, Terminological, Sociocultural,
Organological, and Musicological Aspects)**

A B S T R A C T

of the dissertation for the degree of Doctor of Arts

MUS 0215.1.17: Ethnomusicology

Tbilisi, 2023

Scientific supervisor/s:

Rusudan Tsurtssumia – Phd, Professor Emeritus

David Shugliashvili– Phd, Invited Specialist

Expert/s:

Maka Khardziani, Doctor of Musicology

Tamaz Gabisonia, Doctor of Musicology

The dissertation defense will take place on March 15, 2024, at 15:00

At the Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire Dissertation Council meeting N2

Address: 8, Griboedov street, Tbilisi. Tbilisi State Conservatoire, room #421.

The abstract is available at the library of Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire and on the Conservatoire website: www.tsc.edu.ge

Scientific Secretary of the Dissertation Council

Eka Chabashvili

Doctor of Musical Arts, Associate Professor

Introduction

The dissertation's research topic is traditional Georgian musical instruments and instrumental music. This area of study encompasses a broad area and is quite a difficult, complex discipline. Instruments are a significant part of the world music culture studied by organology, and in part, by ethnomusicology.

This work's focus is the Georgian instrumentarium. Up to 80 terms from Old Georgian written sources and instruments recognized today as traditional Georgian instruments are examined within it: the *larchemi*, *soinari*, reed and reedless *salamuris*, *gudastviri*, *garmoni*, *chiboni*, *pilili*, *changi*, *chonguri*, *panduri*, *chuniri*, *chianuri*, *daira*, *doli*, and *diplipito*.

The study's goal is the creation of a monographic publication considering historical and modern contexts, instrument names and their dialectic nature, and some sociocultural, organological, and musical information. One of the primary goals will also be the incorporation of the world instrumentarium context into the study of the Georgian instrumentarium.

The collection and systematization of knowledge concerning the Georgian instrumentarium, analyzing and generalizing it with extant studies, and a study and critical analysis of archeological, orally transmitted folklore, museum, ethnographic, and old manuscript material reflecting even more intriguing perspectives for the research are the dissertation's tasks.

Along with its highly developed vocal music, the importance and pertinence of studying the Georgian instrumentarium is defined by the role of instrumental music in the study of Georgian folk music culture. This itself, becomes a precondition for the Georgian instrumentarium to have equal representation and consideration in the academic realm of international organology.

A complex, interdisciplinary study of Georgian instruments and instrumental music based on the most recent material introduced into academic circles (including that found during the author's expeditions), a diverse source study base, and a critical analysis of extant academic studies will be the dissertation's innovative contribution to the academic world.

Innovations within the work are:

- An introduction of the newest English literature into the Georgian academic realm.
- The grouping of Georgian instruments according to the internationally accepted Hornbostel-Sachs system of instrument classification.
- The usage of different modern approaches for studying the Old Georgian terminology of instruments, which implies that their significance according to various periods, contexts, and different criteria be clarified, as well as considering existing instruments' context within the modern age and doing a comparative study of them.
- A study of instruments' social functions according to how they are used.

- A study of the instruments' traditional performance methods and notating them by working out some appropriate conditional signs.
- A study of the number of strings for individual instruments and the issues of tuning them.
- A musical analysis of works performed on various groups of instruments and summarization of their general musicological characteristics.

The work's source study database will be archaeological, historical, literary, and orally transmitted textual material. Numerous complete texts gathered from original sources are presented as addenda in a separate chapter if needed. Video, photographic, audio, and textual materials will be used for the study of the instruments' organological and musicological peculiarities, with a significant portion of this material having been found by the author during expeditions conducted over the years. A major part of the archival recordings used are kept at Tbilisi State Conservatoire's Grigol Chkhikvadze Ethnomusicology Laboratory Archive (GCELA).

